პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
11 სექტემბერი
1940 წ.
№ 211 (5912)
ფასი 10 კაპ.

მზად ვიყოთ წითელ არმიაში გაწვევისათვის

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება მორიგი გაწვევა წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

გასაწვევ პუნქტებზე მოვლენ მორალურად და ფიზიკურად ჯანსაღი, კუნთმაგარი საბჭოთა ახალგაზრდები. მათ გულმკერდს ამშვენებს თავდაცვითი ნიშნები, გულში კი ღვივის მხურვალე გრძნობა საბჭოთა პატრიოტიზმისა. საბჭოთა პატრიოტიზმია, ჩვენს ახალგაზრდობას საგმირო საქმეებისათვის რომ აღაგზნებს. ჯერ კიდევ სკოლაში ჩვენი ახალგაზრდობის სანუკვარ ოცნებად არის გადაქცეული იყოს იგი მამაცი მფრინავი, გმირი მეზღვაური, უშიშარი ტანკისტი, სნაიპერი. მისი საყვარელი გმირებია სამოქალაქო ომის ლეგენდარული მებრძოლები — ჩაპაევი, შჩორსი. მისი ოცნებაა იყოს მსგავსი იმ გმირებისა, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ ხასანის ტბასთან, მდინარე ხალხინ-გოლის ნაპირებზე და თეთრ-ფინელების წინააღმდეგ.

მან, საბჭოთა ახალგაზრდამ, იცის, რომ წითელ არმიაში სამსახური სასიხარულო და სანატრელია, მაგრამ ამავე დროს ისიც იცის, რომ მისგან ეს სამსახური მოითხოვს სამხედრო საქმის ღრმად დაუფლებას, მტკიცე დისციპლინას. ამიტომ არის რომ ჯარში გაწვევამდე მარტო ოცნებით როდი კმაყოფილდება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა; იგი სერიოზულად ემზადება სამშობლოს სამსახურისათვის.

ჩვენს ახალგაზრდობას ახსოვს მ. ვ. ფრუნზეს სიტყვები: „უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წითელი არმიის რიგებში შესვლამდე ჩვენმა მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ კარგად იცოდეს შაშხანა, კარგად იცოდეს მისი ხმარება და კარგად იცოდეს სროლა“. მ. ვ. ფრუნზემ ეს სთქვა 1925 წელს. დღეს კი ჩვენი ახალგაზრდობისათვის არ კმარა მარტო შაშხანა. ჩვენი წვევამდელების რიგებში არიან მფრინავები, პარაშუტისტები, მეტყვიამფრქვევენი, ყუმბარმტყორცნები. მათ უკვე ახლავე აქვთ დიდი მიღწევები სამხედრო სპეციალობათა დაუფლებაში. აქედან გასაგებია, თუ რა მიღწევები ექნებათ მათ, როდესაც ისინი გაივლიან წითელი არმიის საუკეთესო სკოლას. აქ ამ სკოლაში კიდევ უფრო შეისწავლიან ისინი მტერზე გამარჯვების ხელოვნებას. ეს ხელოვნება მეტად რთულია: თანამედროვე ვითარებაში სამხედრო საქმე მოითხოვს მებრძოლისაგან არა მარტო სამხედრო ტექნიკის დაუფლებას, არამედ ინიციატივის გამოჩენას ბრძოლის დროს, ყოველგვარი გასაჭირის ვაჟკაცურად ატანას. ღამით თუ დღისით, თოვლსა თუ სილაში, წვიმასა თუ სიცხეში — ყველგან და ყოველგვარ პირობებში უნდა შესძლოს წითელმა მებრძოლმა მტრის განადგურება.

ამიტომ არის, რომ როდესაც წვევამდელი მიდის წითელ არმიაში, მისთვის უცხო არ უნდა იყოს ამ სიძნელეების ატანა. ჯარში მისვლისთანავე იგი, თუ სამხედრო საქმიანობის სრული ცოდნით არა, გამბედაობით, ამტანობით, ნებისყოფის სიძლიერით იმდენად მზად უნდა იყოს, რომ შეიძლოს უმალ ეკვეთოს მტერს. ამიტომ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ასე ეტანება სპორტს.

და აი, ფიზიკურად გაკაჟებული და საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული ეს ჩვენი ახალგაზრდობა მიისწრაფვის წითელ არმიაში, ითხოვს ვადამდე გაწვევას ჯარში, უარს ამბობს ყოველგვარ შეღავათზე.

სად, რომელ ქვეყანაში გაგონილა ასეთი ამბავი!

გაწვევის დღე მხოლოდ სტალინური კონსტიტუციის მზით გაბრწყინებულ ჩვენს ქვეყანაში არის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. მთელი საბჭოთა ხალხი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აცილებს თავის სიცოცხლითა და სიმხნევით სავსე შვილებს წითელი არმიის რიგების შესავსებად.

წითელ ჯარში გაწვევა 15 სექტემბერს იწყება. უკვე გამოქვეყნდა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება წითელ არმიაში მორიგი გაწვევის შესახებ. ახლავე, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, სამხედრო კომისარიატებმა, პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა მოჰკიდონ გაწვევის სანიმუშოდ ჩატარებისათვის მზადებას. მუშაობა უნდა წარიმართოს ისე, რომ ყველა პასუხისმგებელი პარტიული, სამეურნეო მუშაკი კი არ ხმაურობდეს, არამედ საქმიანად ზრუნავდეს გაწვევისათვის. არის ცნობები, რომ ზოგიერთ რაიონში გაწვევას მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან. მაგ., ონის რაიონში წვევამდელების 25,6 პროცენტს გაფორმებული არა აქვს პირადი საქმეები, სუსტად მიმდინარეობს მათ შორის მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია. ზოგიერთ ადგილას მუშაობა ოქმებს არ გასცილებია, მაგალითად, გეზრულის (ჭიათურა) მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადს ორგანიზაციაში (თავმჯდომარე ამხ. ვ. გაფრინდაშვილი). იქ კი, სადაც მუშაობა კარგად არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, რომ წითელ არმიაში გაწვევა სახელმწიფოებრივი საქმეა, მზადებაც კარგად მიდის. გაწვევისათვის მზადებაში განსაკუთრებით ისახელა თავი თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადმა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე ამხ. გასპაროვი). აქ წვევამდელთა 80 პროცენტს ჩაბარებული აქვს ნორმები თავდაცვის ოთხივე ნიშანზე. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებში დგანან ქუთაისი, ცხაკაია, ზუგდიდი. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ გორის რაიონის ტირძნისის, კარალეთის, ბობნევის, ბერშუეთის სასოფლო საბჭოები.

რაიონულმა სამხედრო კომისარიატებმა ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმონ თავიანთი მზადყოფნა გაწვევისათვის და დაუყოვნებლივ შეავსონ ხარვეზები. ამჟამად მთელი ყურადღება უნდა მიექცეს გასაწვევი პუნქტების მოწყობას. კულტურულად და ორგანიზებულად უნდა დავხვდეთ წვევამდელებს. უნდა გაიშალოს წვევამდელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. უნდა მოეწყოს მოკლე მოხსენებები და საუბრები წითელი არმიის გმირულ ისტორიაზე. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პუნქტებზე იყოს ჟურნალ-გაზეთები, სამკითხველო, დასასვენებელი ოთახები, სასადილო ან ბუფეტი მაინც. სანიმუშო წესრიგი უნდა იყოს დამყარებული გასაწვევი პუნქტის ყოველ კუთხეში. დაე, თვითეულმა წვევამდელმა იგრძნოს, რომ მას ეგებებით, როგორც წითელი არმიის ახალ ღირსეულ შევსებას, დიდი სამშობლოს შვილს და არმიელს.

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ფედოროვი გორში

(გორი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

9 სექტემბერს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სამშობლო ქალაქ გორში ჩამოვიდა სსრ კავშირის გმირი ე. ფედოროვი. გორის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირს.

დიდი სტალინის მშობლიურ ქალაქში ამხ. ფედოროვმა დაათვალიერა ბელადის სახლი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

იმავე საღამოს ამხ. ფედოროვი გორიდან გაემგზავრა.

„ჯანგარის“ 500 წლისთავის დღესასწაულზე

ელისტა, 9 სექტემბერი (საკდესი). დღეს დამთავრდა საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის VIII პლენუმი, რომელიც მიძღვნილი იყო „ჯანგარის“ 500 წლისთავისადმი. დღევანდელ სხდომაზე მოხსენება თემაზე „ჯანგარი“ და ყალმუხეთის მხატვრული ლიტერატურა“ გააკეთა ყალმუხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ ცერენ ლეჯინოვმა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე რესპუბლიკაში აღიზარდნენ შესანიშნავი მწერლები, პოეტები და დრამატურგები — ბაატრ ბასანგოვი, ინჯიევი, გარია შალბუროვი და სხვები.

მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ძმეე რესპუბლიკათა მწერლები და პოეტები.

გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი ყაზახეთის სახალხო აკინის ნარტაევის გამოსვლას, რომელმაც მხურვალე სალამი გადასცა ყალმუხ ხალხს.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ყალმუხეთის მწერლებისათვის ყოველნაირი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. დ. პანოვი დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სათბობისა და ელექტრომეურნეობის საბჭოს წევრად (საკდესი).

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ა. ს. შევალდინი ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შეიყვანა.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ა. პ. ზონდარენკო გაათავისუფლა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან, სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. მ. ს. მასლენიკოვი გაათავისუფლა ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილისა და ამავე კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან, რადგან იგი ვერ გაუძლევა სამუშაოს. (საკდესი).

○

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. **შალვა დიმიტრის-ძე ალაპიშვილი** დანიშნა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ. (საქდესი).

ესტონეთის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დელეგაცია მოსკოვში

9 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ესტონეთის მედიცინის მუშაკთა დელეგაცია 7 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მეთაურობს ესტონეთის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. ვ. ხიონი. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციას და დაყენებას.

დღისით ესტონეთის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ეწვივნენ. (საკდესი).

ვილნიუსის ოლქის რკინიგზელთა ყრილობა

ვილნიუსი, 9 სექტემბერი (საკდესი). შესდგა ვილნიუსის ოლქის რკინიგზელთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 3.900 წევრი პროფკავშირისა, რომელიც ახლა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშას აერთიანებს.

რკინიგზელთა ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლიტვის რკინიგზის უფროსი ამხ. ლოხმატოვი. მოხსენების გარშემო გაცხოველებული კამათი გაიმართა.

პირველი იაკუტური ოპერა

იაკუტსკი. კომპოზიტორმა ჟირკოვმა დრამატურგ ომოლონთან და იაკუტიის სახელმწიფო თეატრის რეჟისორ მესტნიკოვთან ერთად პირველი იაკუტური ოპერა შეჰქმნა. იგი დაწერილია იაკუტური საგმირო ეპოსის მოტივებზე. ოპერას სდგამს იაკუტიის სახელმწიფო თეატრი. პრემიერა შესდგება დეკემბერში. (საკდესი).

ქიმიური შეჯიბრება

ლენინგრადი. ლენინგრადის ფაბრიკების, ქარხნებისა და დაწესებულებათა თავდაცვა-ავიაქიმის 4.468 პირველადი ორგანიზაცია მონაწილეობას იღებს რაიონულ ქიმიურ შეჯიბრებაში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. ეს შეჯიბრება წინ უსწრებს VII საკავშირო ქიმიურ შეჯიბრებას. 400 ათასზე მეტმა კაცმა უკვე ჩაატარა ლაშქრობა აირწინაღებით. ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა იმუშავა წარმოებაში აირწინაღებით.

მეფე კაროლის რუმინეთიდან გაძევების ნამდვილი მიზეზები

კიშინიოვი, 8 სექტემბერი. გაზეთ „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი იუწყება: აქ მიღებული ცნობების თანახმად, ახლა საბოლოოდ გამოირკვა ნამდვილი სარჩული რუმინეთის ჯარის ნაწილთა პროვოკაციული მოქმედებისა, რაც აგვისტოს მეორე ნახევარში მოხდა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე და რის გამოც, როგორც უწყით, საბჭოთა მთავრობამ ორჯერ განუცხადა პროტესტი რუმინეთის მთავრობას. ამის შესახებ 30 აგვისტოს კიდევაც გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური ცნობა.

როგორც იუწყებიან კაროლთან ახლომდგომ წრეებს უკვე რამდენიმე ხნის წინათ ჰქონდათ მოლაპარაკება, რომლითაც ამზადებდნენ უნგრეთისათვის ტრანსილვანიის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაცემას, აგრეთვე გერმანიისა და იტალიისაგან რუმინეთის სახელმწიფო ტერიტორიის გარანტიების მიღებას. კაროლს რაიმე გარეშე საბაბი ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ როგორმე გაემართლებინა რუმინეთის საზოგადოებრივი აზრის წინაშე ეს გადაწყვეტილება. ამ მიზნით კაროლთან დაახლოებულმა წრეებმა პროვოკაციულ ინციდენტებს მიმართეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე, რისთვისაც გამოიყენეს რუმინეთის არამარტო სანაპირო დაცვა, არამედ ჯარის ნაწილებიც, აგრეთვე სამხედრო თვითმფრინავები. რასაკვირველია კაროლს საფუძველი ჰქონდა ეფიქრნა რომ საბჭოთა სანაპიროო რაზმზე რუმინეთის ჯარის ნაწილების თავდასხმა უპასუხოდ არ დარჩებოდა. ყოველივე ეს გამოყენებული იქნა, რათა გაევრცელებინათ აშკარა ჭორი, თითქოს საბჭოთა კავშირი რუმინეთზე თავდასხმას ამზადებდა, რომ რუმინეთს ომში განადგურება მოელის და ამიტომ რუმინეთის ერთადერთი ხსნაა უნგრეთისათვის ტრანსილვანიის ნაწილის გადაცემა და გერმანიისა და იტალიისაგან რუმინეთის ტერიტორიის გარანტიის მიღება. როგორც სჩანს კაროლს, იმის იმედიც ჰქონდა, რომ საქმის ასეთი შეტრიალება უთანხმოებას შექმნიდა გერმანიასა და სსრ კავშირს შორის. თვალში გვეცემა ის გარემოება, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობილი ინფორმაცია საბჭოთა მთავრობის პროტესტის შესახებ ფართოდ გამოქვეყნდა უცხოეთის პრესაში, მაგრამ რუმინეთის პრესას არ გამოაქვეყნებინეს. როგორც სჩანს, კაროლთან ახლომდგომ წრეებს ეშინოდათ, რომ გამოქვეყნება საბჭოთა ცნობისა სასაზღვრო ინციდენტთა პროვოკაციული ხასიათის შესახებ გამოამჟღავნებდა რუმინეთის მესვეურთა პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა საზღვარზე. როგორც იუწყებიან, რუმინეთის ახლანდელი მთავრობა სავსებით მიხვდა კაროლისა და მასთან დაახლოებული წრეების ამ პროვოკაციულ პოლიტიკას და მიიღო ზომები კაროლის გასაძევებლად და მასთან ახლომდგომი წრეების დასასჯელად. ასეთია, როგორც იუწყებიან, კაროლის ტახტიდან გადადგომის ჭეშმარიტი მიზეზი.

კოლექტიური შრომის ერთი წელი

ლვოვი, 9 სექტემბერი (საკდესი). საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს ლვოვის ოლქში 55 კოლმეურნეობა მოეწყო. სწრაფად ვითარდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. წელს მინდვრებში ახლადშექმნილი მტს-ების დაახლოებით 300 ტრაქტორი მუშაობდა.

თავისი არსებობის პირველ წელს კოლმეურნეობათა უმრავლესობამ სერიოზული წარმატება მოიპოვა. სასოფლო - სამეურნეო მუშაობის წლიური ციკლი სანიმუშოდ ჩაატარეს სოკალსკის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის, პონიკოვიცის რაიონის 1 მაისის სახელობის, 17 სექტემბრის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. ამ კოლმეურნეობებში მარცვლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 15-17 ცენტნერს შეადგენს.

ვითარდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც. 47 კოლმეურნეობას აქვს სარძეო-სასაქონლო ფერმა, 30 კოლმეურნეობას—მეღორეობისა და 10 კოლმეურნეობას მეცხვარეობის ფერმა. 35 კოლმეურნეობას თავისი სკა ჰყავს. ოლქის სოფლებში 400-ზე მეტ ჰექტარზე გუბურებია გაბნეული.

გლინიანსკის რაიონის სოფელ პლოტვაში მთელი მიწის ნახევარზე მეტი მემამულე გერუმანს ეკუთვნოდა. 35 გლეხური მეურნეობა უმიწაწყლო იყო, დანარჩენ მეურნეობებს კომლზე საშუალოდ 1 ჰექტარი მიწა მოსდიოდა. 190 მეურნეობას არა ჰყავდა ცხენი, ღორი, იშვიათად ნახავდით კომლს, რომ ძროხა ჰყოლოდა. მთელ სოფელს მხოლოდ ერთი სათესი მანქანა ჰქონდა. სამ მეურნეობაზე ერთი ხარი და გუთანი მოდიოდა.

ამჟამად უმიწაწყლობა ლიკვიდირებულია; შექმნილია კოლმეურნეობა, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან მიიღო 257 ათასი მანეთის ინვენტარი და სამეურნეო ნაგებობანი, შეჰქმნა მეცხოველეობის სამი ფერმა, თითო ჰექტარზე 18 ცენტნერი მარცვლეული აიღო.

წინასწარი გამოთვლით კოლმეურნეობა 218 ათას მანეთ შემოსავალს მიიღებს. შრომადღეზე მოდის 5-მდე კილოგრამი მარცვლეული და ფულად 4 მანეთზე მეტი. პანის ყოფილი მეჯინიბის, კოლმეურნე ცისინსკის ოჯახი მიიღებს 50 ცენტნერ მარცვალს, 5 ათასამდე მანეთ ფულს, გარდა ამისა, ბოსტნეულ კულტურებს, სათბობსა და საქონლის საკვებს.

გლეხები პრაქტიკული გამოცდილებით რწმუნდებიან კოლექტიური შრომის უპირატესობაში. სასოფლო-სამეურნეო არტელების გამგეობებში განუწყვეტლივ შედის ერთპიროვნულ მეურნეთა განცხადებანი კოლმეურნეობაში მათი მიღების შესახებ.

თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ტიმოშენკო მოსკოვს დაბრუნდა დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ტაქტიკური ვარჯიშობიდან

7 სექტემბერი იყო უკანასკნელი დღე ტაქტიკური ვარჯიშობისა, რომელიც თავდაცვის სახალხო კომისარმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. ტიმოშენკომ ჩაატარა დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებში.

ამ ვარჯიშობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი საჩვენებელი იყო ჯარის გაწვრთნის გარდაქმნის მხრივ იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებიც წითელი არმიის წინაშე დასვეს მთავრობამ, პარტიამ და ამხანაგმა სტალინმა.

ვარჯიშობამ მეთაურთა შემადგენლობის ყველა რგოლს თვალსაჩინოდ დაანახვა, თუ როგორ უნდა იქნას კონკრეტულად გამოყენებული წვრთნაში თანამედროვე ომის გამოცდილება და მისცა შემდგომი მუშაობის პროგრამა საბრძოლო მომზადების დარგში.

თავდაცვის სახალხო კომისარმა აღნიშნა, რომ ამ ტაქტიკური ვარჯიშობის გამოცდილების პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა არმიის პრესამ, განსაკუთრებით, გაზეთმა „კრასნაია ზვეზდამ“.

იმავე დღეს, საღამოთი, თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ტიმოშენკო მოსკოვს დაბრუნდა. (საკდესი).

ჩრდილოეთ ბუკოვინელები საქართველოს პავილიონში

მოსკოვი, 10 სექტემბერი (ბილდაპარატით საკუთარი კორესპ.). გუშინ საქართველოს პავილიონი ინახულა 96 ექსკურსიამ. მათ შორის იყო ექსკურსანტთა ჯგუფი ჩრდილოეთ ბუკოვინიდან. ექსკურსიების ხელმძღვანელი მარო გრიგორაშვილი 50 წუთის განმავლობაში აცნობდა მათ პავილიონს. ექსკურსანტები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ გორის სახლის მაკეტს. — ჩვენ კარგად ვიცნობთ ამხანაგ სტალინის ბიოგრაფიას, — განაცხადეს მათ, — აი, როგორი ყოფილა ეს ისტორიული სახლი!

ბუკოვინელებმა მრავალი შეკითხვა მისცეს ექსკურსიების ხელმძღვანელს ჩაის, ბამბუკის, ევკალიპტის კულტურების შესახებ. კოლხიდის დაბლობის პანორამასთან მათ დიდი ყურადღებით მოისმინეს ჭაობების ამოსაშრობად ჩატარებული გრანდიოზული მუშაობის შესახებ. ისინი განცვიფრებაში მოიყვანა საქართველოს სახალხო სიმდიდრემ. — ჩრდილოეთი ბუკოვინა, — განაცხადეს მათ, — ასევე იბრძოლებს დიად გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

დღეს პავილიონი ინახულა ბუკოვინელთა ახალმა ჯგუფმა. ამ ჯგუფის წევრებმა ამხ. რომანენკომ, კოლესნიკმა, კუშნირმა, ვიცკოვსკიმ და სხვ. შემდეგი სიტყვები ჩასწერეს შთაბეჭდილებათა წიგნში: „ჩვენ ცოტა რამ ვიცოდით საბჭოთა საქართველოს შესახებ. ახლა საკუთარი თვალით ვნახეთ მისი უთვალავი სიმდიდრენი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლო მომავალში ჩრდილოეთი ბუკოვინაც მოწინავე ოლქი იქნება და საკუთარ ექსპონატებს გამოგზავნის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ჩვენ უდიდესი ინტერესით ვისმინეთ დიდი ბელადის მოკლე ბიოგრაფიას. სამშობლოში დაბრუნებულნი ვუამბობთ თანასოფლელებს მოსკოვის შესახებ. გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!** მადლობა დიდ ბელადს და წითელ არმიას ჩრდილოეთ ბუკოვინის განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა ბელოსტოკის მიღწევანი

ბელოსტოკი, 9 სექტემბერი (საკდესი). ბელოსტოკის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან პოლონეთის შლიახტის ბატონობისაგან განთავისუფლების წლისთავისათვის. საწარმოებსა და დაწესებულებებში საუბრები მიმდინარეობს; აგიტატორები მშრომელებს უამბობენ, თუ რა დიდი ცვლილებანი მოხდა ბელოსტოკში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლის განმავლობაში.

11 ათასმა უმუშევარმა სამუშაო მიიღო. საფეიქრო საწარმოთა მუშების რიცხვმა ერთიორად იმატა.

ქალაქის საფეიქრო ფაბრიკები ყოველთვიურად ამზადებენ დაახლოებით ერთ მილიონ მეტრ მაუდის ქსოვილს. ქარხნებში, ფაბრიკებსა და რკინიგზის ტრანსპორტზე სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები იზრდება.

ყოველდღე უმჯობესდება ქალაქის მოსახლეობის კულტურული და სამედიცინო მომსახურება. ბელოსტოკში პედაგოგიური ინსტიტუტი გაიხსნა. მუშაობს ორი თეატრი, არის მწერალთა სახლი, ხალხური შემოქმედების სახლი, მასწავლებლის სახლი ფილარმონია. მშრომელთა ათასობით ბავშვები ქალაქის 30 სკოლაში სწავლობენ.

ერთისამად გაფართოვდა სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი. ბელოსტოკში ამჟამად არის 8 პოლიკლინიკა, 5 საავადმყოფო, 3 ამბულატორია. ანატომიურ-პათოლოგიური ინსტიტუტი, ვენეროლოგიური დისპანსერი და სანიტარული სადგური. დიდ საწარმოებში მოწყობილია 16 სამედიცინო პუნქტი.

გაიხსნა ბავშვთა 5 ბაგა. ქალაქს შეემატა კეთილმოწყობილი აბანოები, სამრეცხაოები; მოკირწყლულია ბევრი ახალი ქუჩა, გაჰყავთ კანალიზაცია.

ამჟამად ქალაქში გაჩაღებულია დიდი მშენებლობა, რისთვისაც გადადებულია 27 მილიონი მანეთი. ბელოსტოკის მცხოვრებნი მალე ახალ საცხოვრებელ სახლებს მიიღებენ; ქალაქში აიგება ახალი სართავი ფაბრიკები და პურის ქარხანა.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 10 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „დღეს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს გერმანიის ჩრდილოეთით სამხედრო ობიექტებისაგან მოშორებით მდებარე ადგილებში. ბერლინსა და სხვა ქალაქებში დაზიანებულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. გერმანიის ყუმბარმშენთა და ავიაგამანადგურებელთა შენაერთები განაგრძობდნენ იერიშის მიტანას ინგლისის დედაქალაქის ობიექტებზე, რომელთაც დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთ. თვითმფრინავები ყოველგვარი ყალიბის ყუმბარებს აყრიდნენ აგრეთვე სანავსადგურო ნაგებობებსა და მშრალ დოკებს, გაზის ქარხნებს, წყლის საწნეო სადგურებსა და ელექტროსადგურებს, დიდ მარცვალსაცავებს, ბენზინსაცავებსა და ნავთსაცავებს. ბევრ ადგილას გაჩნდა ხანძარი. საჰაერო იერიში მივიტანეთ აგრეთვე სანავსადგურო ნაგებობებზე ინგლისის დასავლეთ სანაპიროსა და შოტლანდიის აღმოსავლეთ ნაპირზე. გუშინ მტერმა 44 თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის 2 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

9 სექტემბერს, ღამით, ნისლის დროს ინგლისის რამდენიმე მსუბუქი სამხედრო გემი მოუახლოვდა საფრანგეთის სანაპიროს, რომელსაც რამდენჯერმე უწესრიგოდ ესროლა. ყუმბარები ნაპირის მოშორებით დაეცა ისე, რომ ზიანი არ მოუყენებიათ. მტერი ჩვენი ბატარიების ცეცხლით უკუგდებულ იქნა. წყალქვეშა ნავმა, რომლის მოქმედების შედეგები 8 სექტემბერს იყო გამოქვეყნებული, ჩასძირა მტრის ექვსი სატვირთო გემი 40.250 ტონა საერთო წყალწყვისა. დაზიანებულ იქნა კიდევ ერთი გემი.

მეორე წყალქვეშა ნავმა მოსპო რამდენიმე შეიარაღებული სატვირთო გემი 15.500 ტონა საერთო წყალწყვისა. გერმანიის დამხმარე კრეისერმა ხელთ იგდო ნეიტრალური გემი გერმანიის გადამღობთა რაიონში ინგლისის კუნძულების მახლობლად“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს გემებზე დიუნკერკისა და ბულონის ნავსადგურებში, აგრეთვე გერმანიის გემების ქარავნებზე ჩრდილოეთის ზღვაში. ამ ოპერაციების დროს ინგლისის ხუთი თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 8 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ოპერაციები ჩაატარა გერმანიის წინააღმდეგ. ყუმბარები დავუშინეთ იმ ადგილებს, სადაც კარჭაპები იყო თავმოყრილი, ჰამბურგსა, ბრემენსა, ემდენსა, ოსტენდესა, კალესა და ბულონში. მნიშვნელოვანი ზარალი მივაყენეთ ნავთსაცავებს და საომარი მასალის საწყობებს. ამ ოპერაციებიდან არ დაბრუნებულა ინგლისის 8 თვითმფრინავი.

აგრეთვე იუწყებიან, რომ გუშინ, საღამოს, მტრის დიდძალი თვითმფრინავი კვლავ მოუახლოვდა ლონდონს. რამდენიმე თვითმფრინავი მდინარე ტემზის ჩრდილოეთით შემოიჭრა და უმნიშვნელო ზარალი მოგვაყენა. ლონდონის სამხრეთ ნაწილის გარეუბნებში ჩამოყრილ ყუმბარებს აგრეთვე სერიოზული ზარალი არ გამოუწვევია. მსხვერპლთა რიცხვი უმნიშვნელოა. კენტის საგრაფოს ერთერთ ქალაქში ჩამოჰყარეს რამდენიმე ყუმბარა, რომელთა აფეთქებისაგან დაზიანდა დოკები. მოკლულია რამდენიმე კაცი. 8 სექტემბერს, ღამით, ჩამოგდებულია მტრის 11 თვითმფრინავი. 7 სექტემბერს მოსპობილია მტრის 103 თვითმფრინავი. წინასწარი ცნობებით, გუშინ გერმანიის ავიაციამ 47 თვითმფრინავი დაჰკარგა. ინგლისმა გუშინ 13 თვითმფრინავი დაჰკარგა. მტერმა ყუმბარები დაუშინა დუვრის რაიონს.

დიდი ზარალი ლონდონში

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, ლონდონის ცენტრალურ ნაწილში უდიდესი გამანადგურებელი ძალის ყუმბარებმა მოსპეს დიდი შენობები, მათ შორის ერთი ცათამბჯენი. ლონდონის ზოგიერთი რაიონი ისეთი სანახავია, თითქოს აქ მიწისძვრა მომხდარაო. ერთერთი ულამაზესი ქუჩა სახლების ნანგრევებქვეშ არის დამარხული. კორესპონდენტი აგრეთვე იუწყება, რომ ერთერთი ყუმბარა თავშესაფარს მოხვდა. ადამიანთა მსხვერპლი დიდია.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, 8 სექტემბერს ლონდონზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის შემდეგ ქალაქის ქუჩებში ყუმბარების აფეთქების შედეგად შეიქმნა დიდრონი ორმოები, რომელთა სიგანე თითქმის 23 მეტრს უდრის და სიღრმე — 15,2 მეტრს.

ინგლის-იტალიის ომი

რომი, 10 სექტემბერი. იტალიის სარდლობა გადმოგვცემს შემდეგს ცნობას: „ჩვენი ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს იაფის ნავსადგურს პალესტინაში და ალექსანდრია-მერსა-მატრუხის რკინიგზას. ბომბარდირებულ იქნა სანავსადგურო ნაგებობანი და მნიშვნელოვანი საწყობები. ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა. სერიოზულად დაზიანდნენ სარკინიგზო ნაგებობანი. აფეთქებულია ერთი მატარებელი. ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის ავიაციამ ყუმბარები და ტყვიამფრქვევები დაუშინა მტრის ბანაკებსა და სატვირთო ავტომობილების კოლონებს. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

მტრის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს კირენაიკის ზოგიერთ რაიონს. მოკლულია ერთი, დაჭრილია 4 კაცი. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს პორტ-სუდანის საჰაერო ბაზაზე, მოსპობილია ბევრი თვითმფრინავი აეროდრომის მინდორზე. მრავალ ადგილას გაჩნდა ხანძარი. ყველა ჩვენი ყუმბარმშენი თავის ბაზაში დაბრუნდა.

კენიაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის ჯარის საწყობებსა და ბანაკებს ბარაში მდინარე ტანაზე. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. მტერი თავს დაესხა მასაუას, ასმარასა და დესის. მოკლულია 2 და დაჭრილია 3 კაცი“.

ლონდონი, 10 სექტემბერი. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 8 სექტემბერს მტრის ავიაციამ კვლავ დაუშინა ყუმბარები ეგვიპტის ნავსადგურ მერსა-მატრუხს. არის ერთგვარი ზარალი, არის მსხვერპლიც. კენიაში ინგლისის ერთერთი პატრული შეიჭრა აბისინიის ტერიტორიაზე, სადაც იერიში მიიტანა ადგილობრივ მკვიდრთა ჯარის რაზმზე, რომელსაც ზარალი მიაყენა. მტერმა ყუმბარები დაუშინა ბუნს, რომელიც უმნიშვნელოდ დაზიანდა; მსხვერპლი არ არის.

ინგლისის წყალქვეშა ნავმა „ოზირისმა“ ხმელთაშუა ზღვაში ჩასძირა იტალიის ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა, რომელსაც სურსათი მიჰქონდა. მეორე წყალქვეშა ნავმა იერიში მიიტანა იტალიის ორ გემზე, რომლებიც სურსათით იყვნენ დატვირთულნი და საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით მიდიოდნენ. წყალქვეშა ნავის მიერ ნასროლმა ტორპედებმა ორივე გემი ჩასძირა. (საკდესი).

ესტონეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგამომცემლო ცენტრი

ტალინი, 9 სექტემბერი (საკდესი). ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაარსდა სახელმწიფო საგამომცემლო ცენტრი. ცენტრის ამოცანაა საგამომცემლო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა სახელმწიფოში, საგამომცემლო პროგრამის შესრულება, მუშაობის განაწილება გამომცემლობებს შორის, ესტონური ლიტერატურის თარგმნა უცხო ენებზე, უცხოეთის ლიტერატურის შერჩევა ესტონურ ენაზე გადასათარგმნად, საბჭოთა კავშირის გამომცემლობებთან და წიგნის ბაზებთან ურთიერთობა.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში შექმნილია 5 გამომცემლობა: პოლიტიკური და ეკონომიური ლიტერატურისა; სახელმძღვანელოებისა, პედაგოგიური ლიტერატურისა და მოზარდთა წიგნებისა; ბელეტრისტულ, მხატვრულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა; მეცნიერულ და მეცნიერულ-პოპულარულ ნაწარმოებთა; პერიოდულ გამოცემათა გამოშვება.

სახელმწიფო საგამომცემლო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით, ესტონეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ დაადგინა მოახდინოს ნაციონალიზაცია ყველა გამომცემლობისა მათ კუთვნილ წიგნის სავაჭროებთან ერთად და გადასცეს ისინი სახელმწიფო საგამომცემლო ცენტრს.

საბჭოთა კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებნი

მომავალი მუსიკალური სეზონისათვის კომპოზიტორები მრავალ ახალ ნაწარმოებს ამზადებენ. ერთერთმა უხუცესმა საბჭოთა კომპოზიტორმა პროფ. მიასკოვსკიმ დაამთავრა მე-20 და მე-21 სიმფონია. მე-2 სიმფონიაზე მუშაობს ახალგაზრდა კომპოზიტორი ტიხონ ხრენიკოვი. კომპოზიტორმა შებალინმა დასწერა კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. ვიოლინისა და ორკესტრისათვის კონცერტზე მუშაობას ამთავრებს არამ ხაჩატურიანი. ლევ კნიპერმა სიმფონიური სიუიტა დაამთავრა და ახლა სწერს სიმფონიურ პოემა „პერეკოპს“. სიმფონიური პოემა „ცხოვრებაც საამურია და სიცოცხლეც კარგია“ დასწერა კომპოზიტორმა პოლოვინკინმა. სიმფონიურ ზღაპარზე „ერთი სულის შებერვით“ მუშაობს კომპოზიტორი კოჩეტოვი.

კომპოზიტორი არაყიშვილი საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის ამზადებს კანტატას, კომპოზიტორი ტიგრანიანი კი — ვოკალურ კვარტეტს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. დიდი ნაწარმოებნი შეემატება ტაჯიკეთის მუსიკალური თეატრის რეპერტუარს. კომპოზიტორმა ბალასანიანმა ამ თეატრისათვის დასწერა ოპერა „მჭედელი კოვა“, კომპოზიტორმა ურბახმა — ბალეტი „ლაილო“. სიმფონია-ორატორიაზე „აყვავებული ყაზახეთი“ მუშაობს კომპოზიტორი ზილბერი.

სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატი

მეხუთე ტური

სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეხუთე ტურში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მაესტრო მაკოგონოვის შეხვედრამ გროსმაისტერ კერესთან. მაკოგონოვი კერესს პირველად სავარჯიშო საჭადრაკო ტურნირში შეხვდა 1939 წელს და მოუგო გროსმაისტერს. ამიტომ 9 სექტემბერს კერესს რადაც უნდა დასჯდომოდა უნდოდა რევანში აეღო. მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა და პარტია მაკოგონოვის გამარჯვებით დამთავრდა.

ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე მოსკოველი სმისლოვის თამაში ტურნირის ლიდერ ბონდარევსკისთან, რომელიც შავებით თამაშობდა. პარტია მეტად მწვავედ მიმდინარეობდა. სმისლოვმა უპირატესობას მიაღწია და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თავისი მოწინააღმდეგე. ბონდარევსკი მაინც არ დანებდა. პარტია გადადებულია.

ძალიან მალე დამთავრდა ლევენფიშ-რუდაკოვსკის, ბოლესლავსკი-ლისიცინის და რაგოზინ-მიკენასის პარტიები. ყველა ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე ლატვიის ჩემპიონი პეტროვი და მოსკოვის ჩემპიონი ლილიენტალი. მწვავე და დაძაბული იყო სტოლბერგის პარტია ქ. ლვოვის წარმომადგენელ გერსტენფელდთან. სტოლბერგმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, თავისი მოწინააღმდეგე აიძულა დაეთმო პარტია.

დუბინინ - ბოტვინიკის, პანოვ-კონსტანტინოპოლსკისა და ვერესოვ-კოტოვის პარტიები გადადებულია.

○

მესამე ტურის დაუმთავრებელ პარტიაში ლევენფიში და ლილიენტალი თამაშის გაუგრძელებლად შეთანხმდნენ ყაიმზე. (საკდესი).

შვეციის პრესა სსრ კავშირსა და შვეციას შორის სავაჭრო და საკრედიტო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ

სტოკჰოლმი, 9 სექტემბერი (საკდესი). დღეს ყველა ცენტრალური გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს კომუნიკეს საბჭოთა კავშირ-შვეციის სავაჭრო და საკრედიტო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ. პრესა, ამასთან დაკავშირებით, მოწინავე სტატიებს ბეჭდავს, სადაც კმაყოფილებით მიესალმება შეთანხმების დადებას, და აღნიშნავს შეთანხმების დიდ მნიშვნელობას შვეციის ეკონომიკისათვის.

„დაგენს ნიუხეტერი" მოწინავეში ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შვეციის მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შვეციის საქონლის მიწოდებას სსრ კავშირისათვის.

გაზეთი „სოციალ-დემოკრაატენი" სწერს: „იმ პერიოდში, როდესაც დასავლეთთან ჩვენი ვაჭრობის ძირითადი ხაზი გადაჭრილია, ხელშეკრულება შვეციას მისცემს, უწინარეს ყოვლისა, ნავთის, ბენზინის, პურის, კოპტონის, მარგანეცის მადნის და ყველა იმ საქონლის იმპორტის შესაძლებლობას, რომლებიც ჩვენ მეტად გვესაჭიროება".

„ნიუა დაგლიგტ ალეხანდამ" გამოაქვეყნა დიდი სტატია, სადაც ასწერს საბჭოთა კავშირ-შვეციის სავაჭრო მოლაპარაკების ისტორიას, ხაზგასმით აღნიშნავს დადებული სავაჭრო შეთანხმების დიდ მნიშვნელობას შვეციისათვის. „ცნობა იმის შესახებ, რომ მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკება შვეციასა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადებით დამთავრდა, — სწერს გაზეთი,—კმაყოფილებით იქნება მიღებული. შვეციის მიერ სსრ კავშირისათვის ვაგონის თვლებისა და რკინიგზის სხვა მასალის მიწოდება ბევრად გაადიდებს მეტალურგიულ საწარმოთა მუშაობის მოცულობას. ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესი ეძლევა სსრ კავშირიდან ბენზინის, ნავთისა და ნავთის სხვა პროდუქტების მიღების შესაძლებლობას. შეგვიძლია სიხარულით აღვნიშნოთ, რომ გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი ორივე ქვეყანას შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის გადიდების მხრივ".

შვეციის გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე დადებითს როლს, რასაც სავაჭრო შეთანხმების დადება შეასრულებს შვეციაში კატასტროფულად მზარდ უმუშევრობასთან ბრძოლაში. „ხელშეკრულება მნიშვნელოვნად გამოაცოცხლებს შვეციის მძიმე მრეწველობის მუშაობას, არაპირდაპირ კი სარგებლობას მოუტანს მრეწველობის სხვა დარგებსაც", — სწერს „სოციალ-დემოკრაატენი".

გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი" აღნიშნავს, რომ თუ შვეციის მძიმე ინდუსტრია რეორგანიზებული იქნება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების შესაბამისად, ეს უაღრესად დიდ შესაძლებლობას შეუქმნის მშენებელ მუშებს. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ შვეციის საამშენებლო მრეწველობა ამჟამად უაღრესად მწვავე კრიზისს განიცდის: შარშანდელთან შედარებით, მან დაახლოებით 90 პროცენტით შეამცირა თავისი წარმოება.

„ახლახან დადებულმა ხელშეკრულებამ, — სწერს გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი", — გაცილებით უფრო ფართო საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოგვცა, ვიდრე ვინმეს შეეძლო ევარაუდნა".

გაზეთი „სვენსკა მორგენბლადეტი" აღნიშნავს, რომ ფართო წრეები კმაყოფილებით მიესალმებიან საბჭოთა კავშირიდან საქონლის საკვების იმპორტს.

შვეციის მინისტრის განცხადება

სტოკჰოლმი, 9 სექტემბერი (საკდესი). გუშინ ერებრუში სიტყვა წარმოსთქვა შვეციის ვაჭრობის მინისტრმა დომემ, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს შვეციისათვის საბჭოთა კავშირ-შვეციის სავაჭრო შეთანხმებას.

„შეიძლება იმედი ვიქონიოთ, — განაცხადა დომემ, — რომ რუსეთთან დადებული ახალი ხელშეკრულება დახმარებას გაუწევს ჩვენს ქვეყანას შეამციროს უმუშევრობა. რუსეთში საექსპორტო საქონლის დამზადებაზე მუშაობს ჩვენი ქვეყნის მრავალი საწარმო".

პროფკავშირულ ორგანიზაციათა დევნა კანადაში

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი (საკდესი). როგორც კანადიენ პრესის სააგენტო ოტავიდან იუწყება, კანადის ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის (შედის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში) ვიცე-თავმჯდომარე ჯექსონი ბრალსა სდებს ხელისუფალთ, რომ ისინი რეპრესიებს მიმართავენ მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ.

კანადის შრომის მინისტრის თანაშემწემ დიქსონმა განაცხადა, რომ ამ უკანასკნელ ხანს ინტერნირებული იყვნენ კანადის მეზღვაურთა პროფკავშირის თავმჯდომარე და მდივანი. დიქსონმა შემდეგ განაცხადა, რომ ომიანობის დროის წესების თანახმად მთავრობამ აკრძალა გაფიცვები სამხედრო მრეწველობაში.

ტორონტოში გამომავალი გაზეთი „ტრიბიუნი" 31 აგვისტოს ნომერში სწერდა, რომ ამ უკანასკნელ ხანს პროფკავშირთა წევრებში საგრძნობლად გაიზარდა მოძრაობა ხელფასის გადიდებისათვის. გაზეთი კანადის მთავრობას ბრალსა სდებს, რომ იგი თავიდან იცილებს პროფკავშირთა იმ ლიდერებს, რომლებიც მუშებისათვის ხელფასის გადიდებას მოითხოვენ იმდენად, რამდენადაც მეწარმეთა შემოსავალი გადიდდა.

შემდეგ გაზეთი სწერს, რომ პროფკავშირთა წევრები მოითხოვენ, რათა მათ მიენიჭოთ გაფიცვისა და პიკეტირების უფლება. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას, პროფკავშირთა აღიარებას და უმუშევართათვის დახმარების გადიდებას. ამას წინათ მთავრობამ აკრძალა ფოლადსამსხმელო ქარხნების მუშებისა და მტვირთავთა გაფიცვა მონრეალში. ეს მუშებიც ხელფასის გადიდებას მოითხოვდნენ.

მუშათა გაფიცვა პანამის არხის ზონაში

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, პანამის არხის ზონის გუბერნატორმა უკანონოდ სცნო არხის ზონაში მომუშავე 2.000 მუშის გაფიცვა. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. გუბერნატორი მუშებს გადასახლებით ემუქრება. გაფიცულებმა ხელი შეუშალეს პანამიდან არხის ზონაში შტრეიკბრეხერების გაგზავნას.

გაფიცულებს შეუერთდა 300-ზე მეტი მუშა. ეს მუშები არხის იმ ზონაში მუშაობენ, რომელიც წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს.

ღარიბ თურქ გლეხებს დიდ ქალაქებში ჩასვლა აეკრძალათ

სტამბოლი, 9 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „იკდამის" ცნობით, ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად იმატა იმ ღარიბ გლეხთა რიცხვმა, რომლებიც დიდ ქალაქებში ჩადიან სამუშაოს საშოვნელად. ამ გლეხებს არა აქვთ კვალიფიკაცია, არ გააჩნიათ არსებობის საშუალება, შესაფერის სამუშაოს ვერ შოულობენ და მთელი ოჯახებითურთ ქუჩაში დაეხეტებიან.

ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვილაეტებს განკარგულება დაუგზავნა, რომ ღარიბ გლეხებს ეკრძალებათ ქალაქებში ჩასვლა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი შევსების შესახვედრად ემზადება

15 სექტემბრისათვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები—მეთაურები და პოლიტმუშაკები — გაემგზავრებიან სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში და მონაწილეობას მიიღებენ გაწვევი კომისიების მუშაობაში. საბრძოლო გემებსა და ფლოტის ნაწილებში საპატიო სამხედრო სამსახურის გასაწევად შერჩეულ იქნებიან სავსებით ჯანსაღი ახალწვეულნი, რომელნიც გაცნობილი არიან ტექნიკას და რომელთაც საშუალო სკოლის 6 კლასი მაინც აქვთ დამთავრებული. გაწვევის დამთავრების შემდეგ ფლოტებისა და ფლოტილიების წარმომადგენლნი ახალწვეულთ დანიშნულების ადგილამდე გააცილებენ.

ახალგაზრდა მებრძოლნი ფლოტის ეკიპაჟებში ფორმის ტანსაცმელს მიიღებენ. მიმღებ-ტექნიკური კომისიები გაანაწილებენ მათ სკოლებსა და სასწავლო რაზმებში. ახალგაზრდა წითელფლოტელები გაივლიან სამწყობრო მომზადებას, რის შემდეგაც მათ ფიცს მიაღებინებენ. შემდეგ დაიწყება მეცადინეობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპეციალისტთა-კომენდორთა, ტორპედისტთა, მენაღმეთა, ელექტრიკოსთა, მემანქანეთა და სხვათა მოსამზადებლად. როცა ახალგაზრდა წითელფლოტელები ფლოტებისა და ფლოტილიების გემებზე მივლენ, ისინი მომზადებული სპეციალისტები იქნებიან და ეცოდინებათ რთული საბრძოლო ტექნიკა.

ყველა ფლოტსა და ფლოტილიაში ენერგიულად ემზადებიან შევსების შესახვედრად. ახალგაზრდა წითელფლოტელებთან მუშაობის საკითხს ამჟამად იხილავენ ბალტიის წითელდროშოვანი, შავი ზღვისა და წყნარი ოკეანის ფლოტთა სკოლების, სასწავლო რაზმების, ფლოტის ეკიპაჟების, ნაწილებისა და გემების პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე.

ამზადებენ საერთო საცხოვრებლებსა და სამეცადინო სადგომებს, კლუბებს, ლენინის ოთახებს. აქ მოსაუბრეები და აგიტატორები ახალგაზრდა მებრძოლთ უამბობენ სამხედრო დისციპლინის შესახებ, მოეწყობა შეხვედრა წითელფლოტელებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან — სოციალისტური სამშობლოს საზღვრების უშიშროებისათვის გაწეული ბრძოლების მონაწილეებთან. (საკდესი).

ახალგაზრდა პატრიოტები მორიგი გაწვევისათვის ემზადებიან

შესანიშნავ შევსებას ჰგზავნის არმიაში ყირგიზეთის სს რესპუბლიკა. მრავალი ახალწვეული საუცხოვო მსროლელი და მხედარია. ექვს ალპინიადაზე 450 ახალწვეული ავიდა მთის მწვერვალებზე. მათ მიიღეს პირველი საფეხურის ალპინისტის ნიშანი.

იაკუტსკის ახალწვეულთა 90 პროცენტს მიღებული აქვს განათლება სულ ცოტა საშუალო სკოლის ხუთი კლასის მოცულობით. გასაწვევთა შორის მრავალია იაკუტსკის საწარმოთა სტახანოველი. კალინინის, ვიშნი ვოლოჩოკის, ოსტაშკოვის, კალიაზინის, აგრეთვე კალინინის ოლქის სხვა ქალაქების ახალწვეულთა უმეტესობა სამხედრო-საზღვაო ფლოტში შესასვლელად ემზადება.

ჩკალოვის ოლქის პერევოლოცკის რაიონში ახალგაზრდობამ ჯერ კიდევ გაზაფხულიდან მოჰკიდა ხელი ცხენის სპორტის შესწავლას. ახლა რაიონის ახალწვეულთა 71 პროცენტი უკვე ვოროშილოვური მხედარია.

სადღესასწაულოდ გამოიყურება ის შენობა, რომელიც დათმობილი აქვს გასაწვევ პუნქტს ქალაქ შახტში. მალე აქ მოვლენ წითელი არმიის მომავალი მებრძოლნი. ქალაქის ახალწვეულთა 92 პროცენტზე მეტს მიღებული აქვს ნიშანი მშთ.

(საკდესი).

ცენტრალური კავკასიის არქიტექტურული ძეგლები

ლენინგრადი. 8 სექტემბერი (საკდესი). ყაბარდო-ბალკარეთის და სვანეთის რაიონებიდან ლენინგრადს დაბრუნდა არქიტექტორთა ჯგუფი, რომელიც თვენახევრის განმავლობაში სწავლობდა ცენტრალური კავკასიის ნაციონალური არქიტექტურის ძეგლებს.

მდინარე მულხრის ხეობაში სოფელ ლაგამში დარჩენილია თავდაცვის ძველებური ნაგებობანი—სადარაჯო და საბრძოლო კოშკები, ციხის კედლების ნაშთები, აგრეთვე საცხოვრებელი სახლები. ამჟამად ჩატარებულია გაზომვა, გადახატვა, ფოტოგადაღება, შესწავლილია ნაგებობათა დაგეგმვა.

ეს ლენინგრადელ არქიტექტორთა უკვე მეოთხე ექსპედიციაა კავკასიაში. მათ გამოიკვლიეს ასამდე ძველი სოფელი, რომლებიც XIV-XVII საუკუნეებს ეკუთვნიან. განსაკუთრებით საინტერესოა წინათ უცნობი ქალაქის მუცოს აღმოჩენა ხევსურეთში. ქალაქი მდებარეობს მთის კალთებზე, დიდ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ დარჩენილია ქვითკირის სამარხები, საცხოვრებელი სახლები, ციხეები, კოშკები.

ექსპედიციების შედეგები განზოგადებულ იქნება ცენტრალური კავკასიის არქიტექტურულ ცნობარში, რომელიც დასაბეჭდად მზადდება.

საცხოვრებელი სახლების მომზადება ზამთრისათვის

მოსკოვი, 9 სექტემბერი (საკდესი). პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში შესდგა თათბირი, რომელიც მიეძღვნა საწარმოთა კუთვნილი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების რემონტის მსვლელობის განხილვას და ზამთრისათვის მათს მომზადებას. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პროფკავშირთა ცენტრალური და საოლქო კომიტეტების და სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები.

1 ოქტომბრისათვის უნდა შეაკეთონ და გაათბონ ყველა სახლი და საერთო საცხოვრებელი, უნდა მიიტანონ იქ სათბობი მასალა. ამ მიზნისათვის სახელმწიფომ ასობით მილიონი მანეთი გაიღო. მაგრამ საცხოვრებელი სახლების მომზადება ზამთრისათვის მეტად ნელა ხორციელდება. სსრ კავშირის საამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს 7,5 მილიონზე მეტი მანეთი მიეცათ რემონტისათვის. აგვისტოს დასაწყისისათვის მათ ამ თანხის მხოლოდ მეოთხედი ჰქონდათ ათვისებული.

ნაკლები ყურადღება ექცევა რემონტის ხარისხს. ამ მიზეზით მრავალჯერ ხდება გადაკეთება, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს სამუშაოს ღირებულებას. ამავე დროს კი არც საწარმოთა ადმინისტრაცია, არც პროფკავშირული ორგანიზაციები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ იძლევიან წუნის მკეთებლებს.

მრავალ საწარმოში საერთო საცხოვრებლებისათვის შეშის, ტორფისა და ნახშირის შემოზიდვაზე მხოლოდ ლაპარაკობენ. პრაქტიკულად კი ჯერჯერობით არაფერი არ გაკეთებულა.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. ბრეგმანმა თავის გამოსვლაში მოუწოდა პროფესიულ ორგანიზაციებს უფრო ფართოდ ჩააბან აქტივი საცხოვრებელი სახლების რემონტის მასობრივი კონტროლის განხორციელებაში. ამხ. ბრეგმანმა მათი ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზამთრისათვის მზადების დროს არ შეიძლება მხედველობიდან იქნას გამორჩენილი საბავშვო ბაღების, ბაგების, სასადილოებისა და აბანოების რემონტის მსვლელობა. ყოველივე ამას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმისათვის.

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა შეასრულა 8 თვის გეგმა

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახკომატის საწარმოებმა 8 თვის მუშაობის განმავლობაში გამოუშვეს 49.551.400 მანეთის საერთო პროდუქცია (1926-27 წლების უცვლელი ფასებით), რაც გეგმის 100,5 პროცენტს შეადგენს.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ „საბჭოთა საქართველომ" რვა თვის გეგმა 114,1 პროცენტით შეასრულა, სახკომატის სხვა საწარმოთაგან მას პირველი ადგილი უკავია. თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ 102,4 პროცენტით შეასრულა რვა თვის პროგრამა. გეგმა შეასრულეს თბილისის ძაფსართავმა ფაბრიკამ და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა.

ჩამორჩენილ საწარმოთა შორის არიან: ქუთაისის მაუდის, მახარაძის ძაფსაძახავი და თელავის ძაფსაღები ფაბრიკები. გეგმა ვერ შეასრულეს ახალი ლაფნეული კულტურების (რამის) გადამმუშავებელმა საწარმოებმაც. (საქდესი).

ჯანმრთელობის ახალი კერა სოჭაში

სოჭა. მაცესტის საბაზანო შენობის მახლობლად შენდება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ახალი მრავალკორპუსიანი სანატორიუმი. ერთი კორპუსი უკვე აგებულია. დამთავრებულია ელექტროსადგურის, კლუბისა და სასადილოს აგება.

მომავალი წლის დამლევს სანატორიუმი დამსვენებელთა პირველ ჯგუფს მიიღებს.

ხირსაში რთველი დაიწყო

სიღნაღი („კომუნისტის" კორ.). 9 სექტემბერს ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ყურძნის კრეფა. პირველ დღეს მოიკრიფა 350 ცენტნერი ყურძენი. თვითეულ ჰექტარზე ყურძნის მოსავალი 100 ცენტნერს აღწევს. მკრეფავი მუშები ბიჭიტოვა და ფილევა დღიურ ნორმებს 200 პროცენტით ასრულებენ.

საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის მასობრივი კრეფა 15 სექტემბრიდან გაჩაღდება.

მზადება მზის დაბნელების დაკვირვებისათვის

ალმა-ატა. მომავალი წლის სექტემბერში მოსალოდნელი მზის დაბნელების დაკვირვების მოსამზადებლად აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია. ყაზახეთში მზის დაბნელების დაკვირვებას აწარმოებს 20 ექსპედიცია. სამეთვალყურეო პუნქტები მოეწყობა არალის ზღვიდან ჩინეთის საზღვრამდე მდებარე ტერიტორიაზე. (საკდესი).

ტრაქტორისტთა კურსები საბჭოთა ლატვიაში

რიგა, 9 სექტემბერი (საკდესი). ლატვიის სსრ მიწსახკომმა მოაწყო ტრაქტორისტთა კურსები. დღეს კურსები მუშაობას იწყებს. კურსანტები სწავლობენ საბჭოთა წარმოების მუხლუხა ტრაქტორებს, მათ მართვას და მომსახურებას.

უდაბნოს გამოცოცხლება

აშხაბადი. ამუ-დარიის წყალი განუწყვეტელ ნაკადად მიდის თავის კალაპოტში კელიფის ახალი არხით. რეცხავს რა სილას, წყალი 50 კილომეტრით შეიჭრა ყარა-ყუმების სიღრმეში, სადაც დიდი ტბები შექმნა. ტბების ნაპირებზე ამწვანდა მცენარეულობა, გამოჩნდა ჯეირნების ჯოგი, ათასობით გარეული იხვი და ბატი. კერკინის რაიონის კოლმეურნეობებმა უხვ საკვებთან და წყალთან ცხვრის ფარები მორეკეს.

დიდი ლატვიელი პოეტი

იანის რაინისის დაბადების 75 წლისთავის გამო

ი. რაინისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი საუკუნის დამდეგს და ერთბაშად მიიქცია საყოველთაო ყურადღება. რაინისი დიდად განათლებული კაცი, ნიჭიერი პოეტი და გაბედული მებრძოლი იყო. მაშინდელ მეშჩანურ-გლეხურ სენტიმენტალურ და ყალბ-ნაციონალისტურ ლატვიურ პოეზიაში რაინისმა შეიტანა აზრთა, საკითხთა და პრობლემათა სიმდიდრე. მან მალე დაიკავა მეთაურის მდგომარეობა ლატვიურ პოეზიაში. არანაკლებ დიდი როლი შეასრულა რაინისმა ლატვიურ დრამატურგიაშიც.

დიდი პოეტი, ლატვიური ენის რეფორმატორი და გამამდიდრებელი, ი. რაინისი (მისი ნამდვილი გვარია პლეკშანი) დაიბადა 1865 წლის 11 სექტემბერს და გარდაიცვალა 1929 წლის სექტემბერში. ბავშვობაში დედისაგან ხშირად ესმოდა მრავალი ლატვიური სახალხო ლექსი. მას აინტერესებდა ლიტვური, ბელორუსული ხალხური ლექსები და ზღაპრები. ბავშვობის ამ შთაბეჭდილებამ უთუოდ დიდი გავლენა იქონია მის მომავალ შემოქმედებაზე. ლექსის წერა დაიწყო რიგის გიმნაზიის მოწაფეობის დროს, 12 წლისამ.

გიმნაზიის წლებში რაინისი ცოდნას უძლიერესი წყურვილით დაეწაფა მსოფლიო კლასიკოსების — ძველ ბერძენთა, რომაელთა და მხატვრული სიტყვის თანამედროვე ოსტატთა ნაწარმოებთ. ამ წიგნების უმრავლესობა რაინისმა ორიგინალში წაიკითხა. ჭაბუკი გატაცებული იყო ბუნებისმეტყველებითაც.

რაინისმა ჰუმორი და სატირა ისწავლა დიდი კლასიკოსი მწერლებისაგან: გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის, ჩეხოვის, ნაწილობრივ დიკენსისა და მ. ტვენისაგან, აგრეთვე იტალიელებისა და ფრანგებისაგან. რაინისის მუდმივი მეგობრები და მასწავლებლები იყვნენ „ლირიკული პუშკინი და მკვეთრი ლერმონტოვი". 15-16 წლის ჭაბუკმა დასწერა პიესა, სთარგმნა მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებნი, მათ შორის პუშკინის „ბორის გოდუნოვი". უფრო გვიან სთარგმნა პუშკინისა და ლერმონტოვის მთელი რიგი ნაწერები. განსაკუთრებით მაღალ დონეზე სდგას ბრწყინვალე თარგმანი გოეთეს „ფაუსტისა": თარგმანი გამოირჩევა ორიგინალთან არაჩვეულებრივი სიახლოვით, ჩინებული სტილით, შემოქმედებითი შთაგონებით. ამ ნაშრომში რაინისმა პირველად გამოიჩინა მთელი ბრწყინვალებითა და სიღრმით უნივერსალური ფილოლოგიური, ლიტერატურული და ფილოსოფიური ცოდნა.

სტუდენტობაში რაინისი გატაცებული იყო ფილოლოგიით, ეთნოგრაფიით, ლიტვური, ლატვიური და რუსული ფოლკლორით.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ რაინისი უნივერსიტეტს დაამთავრებდა, რიგაში გამოდის ახალი გაზეთი „დიენას ლაპა" („ყოველდღიური ფურცელი"). მოკლე ხნის შემდეგ, 1891 წელს, რაინისი ამ გაზეთის რედაქტორი გახდა. ეს რადიკალური გაზეთი თანდათან პროლეტარულ გაზეთად იქცა და იწყო მარქსიზმის პოპულარიზება, ცხადია, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მაშინდელს ცენზურულ პირობებში.

1897 წლის ზაფხულზე ლატვიაში დაიწყო პირველი მასობრივ-პოლიტიკური დაპატიმრება. რაინისი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

გადასახლებაში რაინისმა ხელი მიჰყო მზადებას თავისი ფართო შემოქმედებითი ჩაგულვების განხორციელებისათვის.

1903 წელს გამოვიდა რაინისის ლექსთა პირველი კრებული „ლურჯი საღამოს შორეული აკორდები". კრებული ასახავს პოეტის რევოლუციურ განწყობილებას, ლატვიელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებათ.

ამ კრებულში რაინისმა თავი გამოიჩინა, როგორც პოეტური სიტყვის დიდმა ოსტატმა. აქამდე თითქმის უცნობი პოეტი ერთბაშად პირველ ადგილზე გამოვიდა და მკითხველი გააოცა აზრის სიახლით და სიმახვილით, ბრწყინვალე ფორმით, მდიდარი ენით.

...ისტორიული 1905 წლის წინახანებში. რაინისი კვლავ სამშობლოშია. საყვარელი ხალხური პოეტი მოუწოდებს: „მაღლა ასწიეთ თავი, განახლების ქარს შევხვდეთ..."

მებრძოლმა პოეტმა იცის, რომ უმსხვერპლო ბრძოლა არ არსებობს და რომ „ჯერ კიდევ მრავალი მხურვალე გული ჩაჰკვდება და მრავალი გაბედული ტყვიით განიგმირება".

1905 წლის ცეცხლში შექმნილი ლექსები უფრო რევოლუციური ენით არის დაწერილი:

„დეე, ბრძოლაში დაეცეს გმირი — მას შესცვლის ახალი წესები... მილიონობით აღსდგებიან ბრძოლისათვის, ბნელში იფეთქებს სისხლი და ალი, როდესაც ბრძოლის დროშა აფრიალდება..."

1905 წლის ქარიშხლიანი დღეების შემდეგ უიმედო, კოშმარული ღამე დადგა. მუშათა ორგანიზაციები გაანადგურეს. რაინისი განდევნილია (შვეიცარიაში). იგი სწერს უკვდავს „წყნარ წიგნს", რომელშიც ქებასასხამს დაღუპულთ და ახალგაზრდობას აღაფრთოვანებს ბრძოლისათვის:

„მე გავახელ თვალს,—მტერმა რომ დამთხარა, ენა მომკვეთეს,—სიტყვა კვლავ აჟღერდება, განგმირულ მკერდში გული კვლავ აინთება, ხელი კი მახვილს აღმართავს..."

შურისძიების წყურვილით არის ანთებული ჰმუნვისა და გულისწყრომის ამ წიგნის ყოველი სტრიქონი, ყოველი ასო. „წყნარი წიგნი" ისე, როგორც წიგნი „ისინი, ვინც არ ივიწყებენ", შესანიშნავი ნიმუშებია სამოქალაქო პოეზიისა, ნიმუშები რევოლუციისა და თავისი ხალხის სამსახურისა.

ამასთანავე რაინისის ლექსების ყოველი ახალი კრებული არის პოეტური ოსტატობის ახალ მწვერვალზე ასვლა.

1912 წელს რაინისმა გამოუშვა კრებული „დასასრული და დასაბამი", რომლის ეპიგრაფშიც სწერს: „შენ, ძირითადო კლასო, ვინც იცხოვრებ, გაიზრდები, განახორციელებ და შექმნი მანამდე, სანამ ადამიანთა დაკოდილი გული მთლად არ განიკურნება".

პოეტს სასახელოდ მიაჩნია ემსახუროს მებრძოლებს „ძირითადი კლასისას", როგორც იგი პროლეტარიატს უწოდებს. მაგრამ სამშობლოს და თავის ხალხს მოწყვეტილი პოეტი თანდათან დაღლილობას ჰგრძნობს. მის სულში ეჭვი და ურწმუნოება ისადგურებს.

1914-1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს პოეტს „დამოუკიდებელი" ლატვიის იდეა იუფლებს. იგი მიამიტად ოცნებობს უტოპიურ „მზიან ქვეყანაზე", რომელიც შეიძლება მოპოვებულ იქნას უბრძოლველად, კლასობრივ შეტაკებათა გარეშე.

1920 წლის აპრილში რაინისი, როგორც იქნა, ემიგრაციიდან სამშობლოში ბრუნდება. იგი აღტაცებულია საზეიმო შეხვედრით, რაც მას ბურჟუაზიამ მოუწყო, ალსავსეა იმედებით, ენტუზიაზმითა და ილუზიებით. მაგრამ ვაი, რომ განთავისუფლებული დამოუკიდებელი ლატვიის ნაცვლად, სადაც ხელისუფლება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, იდეალისტ-პოეტის თვალწინ მთელი სიშიშვლით წარმოსდგება შემზარავი თეთრი ტერორის, ძალადობის, მოტყუების, კარიერიზმის, სიხარბისა და სპეკულაციის ქვეყანა, ქვეყანა, სადაც ბანკებში დირექტორის თბილ ადგილებს ეძებენ, მინისტრის პორთფელებზე ოცნებობენ.

„იღუპება თავისუფლება, — ახალი ცხოვრების დუღაბი, კვლავ იღვრება სისხლი, კვლავ ცოცხლდება ძველი წესები",—ამბობს დამარცხებული პოეტი. რაინისს საშინელება ეუფლება. მას სასოწარკვეთილების შხამი სწამლავს. ბრძოლის კვლავ დაწყება აღარ შეუძლია, რადგან იგი ხალხს მოსწყდა. პოეტის დღიურში ჩნდება თვითმკვლელობის აზრი. მას სული ეხუთება უუფლებობის, უსამართლობის, გარემოს სულიერი და მორალური არარაობის ატმოსფეროში. ლატვიიდან წასვლის აზრი განუშორებლად თანა სდევს სრულიად განაწამებს, სულით ობოლ პოეტს. მაგრამ მას უკვე აღარ შეეძლო გაბედული მოქმედება.

ი. რაინისმა მრავალი დიდი სოციალურ-პოლიტიკური და მხატვრული ღირებულების პიესა დასწერა. რაინისის ზოგიერთ პიესას უმაგალითო წარმატება ჰქონდა ლატვიურ სცენაზე (ისტორიულ-დრამატიული ზღაპარი, „ოქროს კუნძი", ტრაგედია „ინდული და არია", „იოსები და მისი ძმები", „ცეცხლი და ღამე" და სხვ.). რაინისმა ლატვიური დრამატურგია აიყვანა თანამედროვე საუკეთესო მსოფლიო დრამატურგიის დონეზე. რაინისის პიესების უმრავლესობა თარგმნილია ევროპულ ენებზე.

რაინისის თეორიულ შეხედულებებში ბევრი შეცდომა იყო, ბევრ რამეში იგი ღრმად ცდებოდა, მაგრამ თავისი ხალხის სამსახურზე რაინისს ხელი არასოდეს არ აუღია. მას მუდამ გულწრფელად და ღრმად უყვარდა მუშათა კლასი.

საბჭოთა ლატვიის განთავისუფლებული, ბედნიერი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის დიდ პოეტს.

ი. რაინისის დაბადების 75 წლისთავი

11 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული საზოგადოებრიობა დიდი ლატვიელი პოეტის ი. რაინისის დაბადების 75 წლისთავს აღნიშნავს. სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირმა ლატვიის სსრ მწერალთა და ჟურნალისტთა პროფესიულ კავშირს წერილით მიმართა. ამ წერილში საბჭოთა მწერლები თავიანთ ხმას უერთებენ ლატვიის ლიტერატურული საზოგადოებრიობის ხმას ლატვიის საუკეთესო პოეტისა და დრამატურგის ხსოვნის აღნიშვნის გამო.

დემოკრატიული წრიდან გამოსული რაინისი ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში გამოდიოდა ბურჟუაზიულ მოღვაწეთა წინააღმდეგ. რაინისს სდევნიდა მეფის მთავრობა, ასახლებდა ფსკოვში, ვიატკაში, მაგრამ მას არა თუ თავი არ დაუნებებია პოეტური მუშაობისათვის, არამედ თავისი რევოლუციური ბრძოლის ბასრ იარაღად აქცია იგი.

რაინისის პოეზიის ბრძოლის პათოსმა ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე მიიპყრო მაქსიმ გორკის ყურადღება. რაინისის ბევრი ლექსი გადათარგმნილია რუსულ ენაზე. რაინისმა შესანიშნავად სთარგმნა ლატვიურ ენაზე პუშკინისა და ლერმონტოვის მთელი რიგი ნაწარმოებნი. ასეთია რუსეთის ლიტერატურის კავშირი რაინისთან, ხოლო მისი საშუალებით — მთელ ლატვიურ ლიტერატურასთან. კიდევ უფრო მეტად იფურჩქნება ეს კავშირი „ჩვენს დაუვიწყარ დღეებში,—ნათქვამია წერილში, — როცა განთავისუფლებული ლატვიელი ხალხი სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძმური ოჯახის წევრია; რაინისის ლიტერატურული მემკვიდრეობა ერთერთი გზაა ამ გაფურჩქვნისა". (საკდესი).

ქ. თბილისის გასამხედროებული სპარტაკიადა

15 სექტემბერს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ქალაქის პირველ გასამხედროებულ სპარტაკიადას აწყობს, რომელიც მიძღვნილია კომკავშირული ორგანოების ანგარიშებისა და არჩევნებისადმი. სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის რაიონების ნაკრები ოცეულები, აგრეთვე ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა „დინამოს" და „სპარტაკის" ოცეულები. სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს 350 კაცი.

გასამხედროებული სპარტაკიადის ყველა მონაწილემ სრული სამხედრო შეიარაღებით გამოწყობილმა უნდა გაიაროს 25-კილომეტრიანი ლაშქრობა. გზის მე-13 კილომეტრზე მოეწყობა შეჯიბრება წვრილკალიბრიანი შაშხანის სროლაში. შემდეგ ოცეულები თავიანთ ლაშქრობას განაგრძობენ. როდესაც „მოწამლულ" ზონას მიუახლოვდებიან, ლაშქრობის მონაწილენი აირწინაღებს გაიკეთებენ და ერთკილომეტრიან ზოლს გაივლიან.

25-კილომეტრიანი გადასვლის დასასრულს ოცეული წყლის დაბრკოლებას გადალახავს. მდინარე აქ ღრმა არის, ამიტომ მებრძოლი ფიზკულტურელები ცურვით უნდა გავიდნენ და თან გაიტანონ სრული შეიარაღება.

მდინარის გადასვლის 10 წუთის შემდეგ დაიწყება 150-მეტრიანი ზოლის დაბრკოლებათა გადალახვა მეორე საფეხურის მშთ კომპლექსის პირობების მიხედვით. ამით დამთავრდება ლაშქრობა.

ცნობამ პირველი გასამხედროებული სპარტაკიადის მოწყობის შესახებ მეტად ცოცხალი ინტერესი გამოიწვია ქალაქის ფიზკულტურელთა შორის. სპარტაკიადა დაგვანახვებს, თუ რამდენად მომზადებულია ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის დასაცავად. (საქდესი).

შ. ჭანუყვაძე — საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი

ტყიბულის ბოლშევიკები გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში

დიდი სტალინის დავალების ღირსეულად შესრულებისათვის ბრძოლა,—რომ საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება ადგილობრივი ქვანახშირით იქნეს დაკმაყოფილებული, ტყიბულის მაღაროელთა სახელისა და ღირსების საქმეს წარმოადგენს.

1940 წელს ტყიბულის მაღაროები გასულ წელთან შედარებით გაცილებით უფრო მეტ ქვანახშირს იძლევა. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში 1939 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ლენინის სახელობის მაღაროში ამოღებულია 29,2 პროცენტით მეტი ქვანახშირი. ტყიბულქვანახშირის ტრესტის მიხედვით კი წელს ამოღებულია 38,9 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე გასული წლის 8 თვეში.

მაგრამ ქვანახშირის ამოღების ეს ზრდა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ქვანახშირზე არსებულ გაზრდილ მოთხოვნილებას.

მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ჩამორჩებოდნენ სტალინის სახელობისა და გელათის მაღაროები. სტალინის სახელობის მაღარომ მიმდინარე წლის 8 თვის საწარმოო გეგმა 61,4 პროცენტით შეასრულა, ხოლო გელათის მაღარომ—46,3 პროცენტით. ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა გამოწვეული იყო შრომის დისციპლინის სისუსტით, მოსამზადებელი სამუშაოების გეგმების შეუსრულებლობით, მუშახელის დიდი დენადობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებამ უდიდესი როლი შეასრულა და ასრულებს ქვანახშირის ამოღების გადიდებაში. აგვისტოს ბოლოს ჩატარდა რაიონული პარტიული აქტივის კრება, სადაც განხილულ იქნა საკითხი, თუ როგორ ხორციელდება 26 ივნისის ბრძანებულება ტყიბულის მაღაროებში. პარტაქტივის კრებაზე გამოირკვა, რომ ტყიბულქვანახშირის ტრესტი, განსაკუთრებით კი სტალინის სახელობისა და გელათის მაღაროები, ჯერ კიდევ სუსტად ანხორციელებენ 26 ივნისის ბრძანებულებას.

სტალინის სახელობის მაღაროში ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ სამუშაო დღის გაცდენისათვის და სამუშაოს თვითნებურად მიტოვებისათვის სამართალში მიცემულია 82 კაცი. უნდა ითქვას, რომ მაღაროს პირველადი პარტიული ორგანიზაცია გაუმართლებელ ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენდა წარმოების დეზორგანიზატორებისადმი.

პარტიის წევრმა არ. ბრეგაძემ 15 და 16 ივლისს არასაპატიო მიზეზით გააცდინა სამუშაო, პარტორგანიზაციამ კი გაცდენის საკითხის განხილვა 23 ივლისამდე გააჭიანურა და მაშინაც გულჩვილობა გამოიჩინა, ბრეგაძეს მხოლოდ საყვედურის გამოცხადება აკმარა. ეს მაშინ, როცა ბრეგაძეს ერთხელ უკვე ჰქონდა საყვედური გამოცხადებული, მხოლოდ პარტრაიკომის მითითების შემდეგ გარიცხეს გამცდენი პარტიის რიგებიდან.

გამცდენებისადმი ასეთ ლიბერალურ დამოკიდებულებას პარტიული ორგანიზაციის მხრივ ადგილი ჰქონდა გელათის მაღაროშიც. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ ეს ნაკლოვანებანი და შეცდომები აღმოფხვრილია და მაღაროების კომუნისტები ბოლშევიკური შეუპოვრობით ანხორციელებენ 26 ივნისის ისტორიულ ბრძანებულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებამ მძლავრი აღმავლობის გზაზე დააყენა ტყიბულის მაღაროები. ამას ცხადჰყოფს სტალინის სახელობის მაღაროს მესამე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც სამთო ტექნიკოსი ამხ. პ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს.

ეს უბანი ივნისში ცუდად მუშაობდა, საწარმოო დავალებას 80 პროცენტით ასრულებდა, ადგილი ჰქონდა მუშახელის დენადობას.

26 ივნისის ბრძანებულებამ მუშახელის დენადობას ბოლო მოუღო. უბანი განმტკიცდა კადრებით, ივლისში დაწინაურდა. სტახანოველთა რიცხვი 9 კაციდან 19 კაცამდე გაიზარდა. შემცირდა გაცდენები. ივლის-აგვისტოში გაცდენის მხოლოდ ორ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. აგვისტოს გეგმა უბნის კოლექტივმა ორი დღით ადრე შეასრულა. სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავზე უბანმა თვიურ გეგმაზე ზევით 200 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

აღმავლობა განსაკუთრებით საგრძნობია იმ მაღაროებში, რომლებიც ივნისში და ივლისში დანაკლისით ასრულებდნენ გეგმებს. სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავზე სტალინის სახელობის მაღარომ დღიური საწარმოო დავალება 116,4 პროცენტით შეასრულა, ხოლო გელათის მაღარომ—112,6 პროცენტით. სექტემბერი ყველა მაღაროში წარმატებით დაიწყო.

ტყიბულის მაღაროების სტახანოველები—პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები შრომითი გმირობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. მოწინავე სტახანოველებმა: ალ. გიორგაძემ, დ. ფერაძემ, დ. ტრუფანოვმა და სხვებმა, ჯერ კიდევ აგვისტოში, ვადაზე ადრე შეასრულეს წლიური საწარმოო დავალებანი.

დიდი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნეს ტყიბულის მაღაროელებმა სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავი. 30 აგვისტოს სტალინის სახელობის მაღაროში სამთო ოსტატის კომუნისტ ამხ. ვ. გვეტაძის ცვლამ დღიური დავალება 135 პროცენტით შეასრულა, მჭრეველმა ამხ. დ. ტრუფანოვმა—250 პროცენტით, ლენინის სახელობის მაღაროში სტახანოველმა მტვირთავმა დ. რიჟამაძემ—175,6 პროცენტით. ასეთივე სტახანოვური საჩუქრები მიუძღვნეს დიადი წლისთავს ორდენოსნებმა ამხ. ვ. ცირეკიძემ, ქ. ბეშკენაძემ, შ. ფურცხვანიძემ, მტვირთავებმა: შ. ყვავაძემ, ვ. ბოჭორიშვილმა და სხვებმა.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომი ყოველდღიურად მუშაობს ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდების საკითხებზე. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის დადგენილების სარეალიზაციოდ პარტრაიკომმა მაღაროებში ივლის-აგვისტოში სამუშაოდ გაგზავნა 120 კაცი. ამავე პერიოდში 25 კომუნისტი და 20 კომკავშირელი ზედაპირის სამუშაოებიდან გადაყვანილი იქნენ სანგრევებში სამუშაოდ.

ამჟამად რაიკომი ამუშავებს ღონისძიებებს გელათის ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. გელათის მაღაროსათვის დღემდე არ არის დაწესებული ქვანახშირის ხარისხის სტანდარტი, ამიერ-კავკასიის ქვანახშირის ხარისხის ინსპექციის მმართველი ამხ. კოტლიარი კი არ მიდის გელათში, რათა მაღაროს ხელმძღვანელებს მიუთითოს ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ამ დღეებში ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივს დიდი სიხარული და გამარჯვება ხვდა წილად. მაღარომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში წარმატებითი მუშაობისათვის მიიღო ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. 2 სექტემბერს მოხდა დროშის საზეიმოდ გადაცემა. ლენინელებმა პირობა დასდვეს, რომ გარდამავალ დროშას არავის დაუთმობენ და 1940 წელს სამშობლოს წლიურ გეგმაზე ზევით მისცემენ 30.000 ტონა ქვანახშირს.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის ეს გამარჯვება ახალი წარმატებებისათვის რაზმავს ტყიბულის მაღაროელებს. ეჭვი არ არის, რომ ტყიბულის ბოლშევიკები, რომლებიც აღზრდილნი არიან ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საბჭოთა დაზვერვის სტალინური ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ დიდი **სტალინისადმი** სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით, არ დაზოგავენ თავიანთ ძალებს იმისათვის, რომ ღირსეულად განაღდონ დიდი **სტალინის** მიერ დასახული ამოცანა—გადაჭარბებით შეასრულონ ქვანახშირის ამოღების 1940 წლის გეგმა.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ორჯონიკიძის სახელობის პარტრაიკომის IV პლენუმი

9 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მორიგი IV პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1. რაიონის კომუნალური მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, 2. ანგარიში 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის ამხ. ე. ხომერიკის მოხსენება.

ამხ. ხომერიკის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ე. ლულუნიშვილმა, ს. რაზმაძემ, დ. რუხაძემ, ტაბატაძემ, ვაშაკიძემ, აკოფოვმა და კალანდაძემ.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ კიდევ ვერ გარდაჰქმნა მუშაობა ისე, როგორც ეს საჭიროა. სარემონტო კანტორის დაუდევარი მუშაობის შედეგად სახლების რემონტი არადამაკმაყოფილებელია, სარემონტო კანტორის სახელოსნოში ყველაფერი რიგზე არ არის, რის გამოც მთელ რიგ სკოლებში რემონტი დაბალი ხარისხით შესრულდა. გარდა ამისა, აღინიშნა ისიც, რომ სახელოსნოში ხშირად იღებენ კერძო დაკვეთებს, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

რაც შეეხება ქუჩებში სისუფთავის დაცვის საკითხს, არც ამ მხრივ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, დასუფთავების ტრესტის სუსტი მუშაობის შედეგად. სანიტარული ექიმებიც არ მუშაობენ სათანადოდ. განსაკუთრებით მკაცრად იქნა გაკრიტიკებული საბინაო სამმართველოს უფროსის ამხ. სადაგლიშვილის უსულგულო მუშაობა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ვ. შათირიშვილი, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ გაიზარდა პარტიის რიგები ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი ბოლომდე ერთგულ მოწინავე ადამიანთა ხარჯზე.

ამხ. შათირიშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: კაზაჩენკომ, დუნდუამ, გოგუამ, გაგუამ და ცერცვაძემ.

პლენუმზე გამოირკვა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 10 ივლისის დადგენილებამდე ზოგიერთ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტიის რიგების ზრდის საქმეში რაოდენობისადმი გამოდევნებას. პარტიის თვითეულ კრებაზე არჩევდნენ 10-12 განცხადებას პარტიაში მიღების შესახებ, რის გამო შეუძლებელი ხდებოდა მათი საფუძვლიანად განხილვა. ასეთი ფაქტები იყო თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში პარტორგანიზაციის (მდივანი — ამხ. ზაზაშვილი) კრებას სულ 5 კომუნისტი ესწრებოდა, ხოლო განხილულ იქნა 4 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

აღინიშნა ისიც, რომ კომუნალური ტექნიკუმის და დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ინსტიტუტის პარტორგანიზაციებში სრულიად შეუმოწმებლად აწარმოებენ პარტიაში მიღებას.

შემდეგ პლენუმზე შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. **პ. მჭედლიძე.**

დასასრულ პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუციები.

რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. **ა. კვაჭაძე.**

როცა პარტიული ხელმძღვანელობა სუსტია

(ფოთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სოფელ საბაჟოს საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება დანიშნულ დროზე ერთი საათით გვიან დაიწყო. კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ლაკირბაიას საანგარიშო მოხსენება არ იყო თვითკრიტიკული. მან უმთავრესად მიღწევებზე ილაპარაკა, მუშაობის ნაკლოვანებებზე კი თითქმის არაფერი უთქვამს.

მაგალითად, არ ულაპარაკნია იმის შესახებ, როგორ გარდაქმნა კომიტეტმა მუშაობა საკ. ალკკ ც. კ-ის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

სათქმელი კი ბევრი იყო. სოფელ საბაჟოს კოლმეურნეობაში კომკავშირელები სათანადოდ ვერ ახორციელებენ ავანგარდულ როლს, ზოგიერთი კომკავშირელები ჩამორჩენილი არიან კიდეც. მაგალითად, კომკავშირელმა ბ. სხულუხიამ თავი აარიდა კოლმეურნეობაში მუშაობას, მას მხოლოდ 18 შრომადღე აქვს გამომუშავებული. ასეთი ფაქტები იშვიათი როდია.

ზოგიერთი კომკავშირელი სუსტად სწავლობს პარტიის ისტორიას. თვით კომიტეტის მდივანმა ამხ. ლაკირბაიამ დღემდე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მხოლოდ ორი თავი შეისწავლა.

საანგარიშო კრება არ იყო სათანადოდ მომზადებული. ამის გამო კამათიც მკრთალად ჩატარდა. კამათში მხოლოდ 2 ამხანაგი გამოვიდა. ეს იმის შედეგია, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი — დ. ქორქია) ნაკლებად ხელმძღვანელობდა კომკავშირის მუშაობას, მან ყურადღება არ მიაქცია კომკავშირის საანგარიშო კრების მომზადებას.

სუსტად იქნა შეფასებული საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე საქპურტრესტის ფოთის განყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის (ყოფ. მდივანი — შ. ჯანჯღავა) მუშაობა, რადგან აქ კომკავშირული მუშაობა ჩაშლილი იყო. აქ 2 თვის განმავლობაში არ ჩაუტარებიათ კომკავშირის კრება, კომკავშირული მეურნეობა მოუწესრიგებელია, კომკავშირელები ნაკლებად იბრძვიან თავისი იდეური დონის ამაღლებისათვის, პოლიტცოდნის წრის მუშაობა ჩაშლილია. ეს ფაქტები იმასაც გვიჩვენებენ, რომ საქპურტრესტის ფოთის განყოფილების პარტიული ორგანიზაცია (მდივანი — დ. სოსელია) ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევდა კომკავშირს.

ძ. ტაბაღუა

პარტრაიკომი ახორციელებს კონტროლს

(საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახ. რაიკომის ბიუროს სხდომაზე)

რაიკომის ბიუროს სხდომაზე ცხარე კამათი გაიმართა. 26 კომისრის სახ. პარტრაიკომის ბიუროს წევრები სამართლიანად უსაყვედურებდნენ თბილისის ქაღალდის ფაბრიკის სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელობას მოუქნელი მუშაობისათვის.

რა სურათი გადაიშალა რაიკომის ბიუროს სხდომაზე?

ფაბრიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულება აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 26 ივნისის შემდეგ ქაღალდის ფაბრიკაში გაცდენების, დაგვიანებისა და თვითნებურად წასვლის შემთხვევები არა თუ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. ასე, მაგალითად, 1 ივნისიდან 27 ივნისამდე თუ ადგილი ჰქონდა დაგვიანების 4 შემთხვევას და გაცდენის 6 შემთხვევას, 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ადგილი ჰქონდა დაგვიანების 9 შემთხვევას, გაცდენის 8 შემთხვევას და თვითნებურად წასვლის 3 შემთხვევას. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ამ ხნის განმავლობაში სამუშაოზე მთვრალი გამოვიდა 2 კაცი.

სამარცხვინოა, რომ შრომის დეზორგანიზატორებს შორის აღმოჩნდა ზოგიერთი კომუნისტი. მაგალითად, ტიგრან ბარსეგიანს აგვისტოში ჰქონდა დაგვიანების 2 შემთხვევა. 1 აგვისტოს მან დაიგვიანა 8 წუთით, ხოლო 16 აგვისტოს 6 წუთით. პარტიის წევრმა ამხ. ჯიოევმა 8 სექტემბერს დაიგვიანა 35 წუთით, რის გამო მისი საქმე სასამართლოს გადაეცა.

ფაბრიკის გულჩვილი მეთაურები შეეცადნენ ლმობიერება გამოეჩინათ ჯიოევისადმი და დაკმაყოფილდნენ მისთვის მხოლოდ საყვედურის გამოცხადებით. რაიკომის ბიუროს წევრები გააკვირვა ფაბრიკის დირექტორის ამხ. კორძაიას უცნაურმა განცხადებამ: „ჯიოევი უმაღლესი განათლების მქონეა, რა აღმზრდელობითი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ მასთან?“

და ეს განცხადება შემთხვევითი როდი იყო. ქაღალდის ფაბრიკაში მხოლოდ მიტინგების ჩატარებით დაკმაყოფილდნენ. სწორი არ იქნებოდა არ აღგვენიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება გაიხსენა ამ დღეებში, როდესაც მათთვის ნათელი იყო, რომ ეს საკითხი უნდა განხილულიყო რაიკომის ბიუროს სხდომაზე. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შესძლო წარმოების ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლი მთლიანად დაექვემდებარებინა 26 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესასრულებლად ბრძოლისათვის.

დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს: გარაჟის ზეინკალმა დრიუჩენკომ 22 აგვისტოს დაიგვიანა 2 საათით. მისი საქმე სასამართლოს გადაეცა მხოლოდ 31 აგვისტოს. ოსტატ ბერძენიშვილის ცვლაში დანელიანს სამუშაო საათებში ეძინა. ამისათვის მას გამოუცხადეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, მაშინ, როდესაც დანელიანის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო როგორც გაცდენა და მისი საქმე უნდა გადასცემოდა სასამართლოს.

რაიკომის ბიურომ გამოააშკარავა შრომის დეზორგანიზატორებისადმი ლიბერალური დამოკიდებულების ნამდვილი მიზეზები. ერთერთ მიზეზად აქ ისიც დაასახელეს, რომ 24 აგვისტოს ფაბრიკის დირექტორმა ამხ. კორძაიამ და პარტბიუროს მდივანმა ამხ. შურმა სამუშაოზე დაიგვიანეს 50 წუთით. როგორ იქნა შეფასებული ეს ფაქტი? მეტაბელე მარგულისმა დირექტორის სახელზე იმ დღესვე დასწერა პატაკი. ამ პატაკს დირექტორმა ამხ. კორძაიამ ასეთი რეზოლუცია დაადო: „შური ჩემთან ერთად იყო ტრამვაის პარკში“. რა გამოირკვა ნამდვილად?

24 აგვისტოს დილით, როდესაც ფაბრიკის ხელმძღვანელები მოდიოდნენ ფაბრიკისაკენ, ტრამვაის ვატმანთან მოუხდათ აურზაური. ვატმანმა გალანძღა შური. ტრამვაისა და ტროლეიბუსების მე-2 რაიონის კანტორასთან ისინი ჩამოვიდნენ ვაგონიდან, რათა ეცნობებინათ მოძრაობის უფროსისათვის...

საამქროთა უფროსები და ცვლის ზოგიერთი ოსტატები ლმობიერებაში არ ჩამოუვარდებიან თავიანთ ხელმძღვანელებს. ვერ გაიგეს რა 26 ივნისის ბრძანებულების აზრი იმის შესახებ, რომ 8-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლა გულისხმობს მთელი 480 წუთით მუშაობას, ისინი არ ზრუნავენ სამუშაო დროის შემჭიდროებაზე, საამქროთა შეთანხმებულ მუშაობაზე, დანადგარების მაქსიმალურად დატვირთვაზე. ცვლის ოსტატი არეშიძე არაერთხელ შეეცადა დაეფარა გამცდენი, რისთვისაც ის შემდეგში მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

ბიუროს სხდომაზე ნათელი გახდა, რომ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია არ ახორციელებდა ნამდვილ კონტროლს 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობაზე. შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეს განზე ედგნენ აგრეთვე პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციებიც.

სამართლიანად უსაყვედურებდა ფაბრიკის ხელმძღვანელებს — დირექტორსა და პარტბიუროს მდივანს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე იმისათვის, რომ მათ ვერ უზრუნველჰყვეს მასობრივ - პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა, ვერ შესძლეს გადაჭრით შეემცირებინათ დაგვიანების შემთხვევები და წარმოების ყველა რგოლში დაემყარებინათ შრომის მტკიცე დისციპლინა.

რაიკომის ბიურომ კატეგორიულად მოითხოვა ფაბრიკის ხელმძღვანელობისაგან 26 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელად შესრულება, შრომის დეზორგანიზატორთა საქმეების დაუყოვნებლივ გადაცემა სასამართლოსათვის, საამქროთა უფროსებისა და ცვლის ოსტატთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება და ლიბერალიზმთან სასტიკი ბრძოლა.

რაიკომის ბიურომ ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა კონკრეტული ღონისძიებანი, თუ როგორ განახორციელოს ბოლშევიკური კონტროლი 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელებაზე.

* * *

ამასწინათ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონული კომიტეტები არასაკმარისად ახორციელებდნენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს საწარმოებსა და დაწესებულებებში 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებაზე. 26 კომისრის სახელობის პარტრაიკომში ამ მითითებიდან გამოიტანეს საჭირო დასკვნები. რაიკომის ბიუროს სხდომებზე სისტემატურად ისმენენ საწარმოთა დირექტორების მოხსენებებს, რაც ყოველმხრივ მისასალმებელია. რაიკომის ბიურომ 9 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩასწერა, რომ ერთი თვის შემდეგ მოხდეს იმის შემოწმება, თუ როგორ განახორციელებენ ქაღალდის ფაბრიკაში რაიკომის ბიუროს მიერ დასახულ ღონისძიებებს.

ვ. ალიძე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. გოგუა (მარცხნიდან მეორე) ესაუბრება ამხანაგებს, რომლებმაც დაამთავრეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა და შეუდგნენ მარქსიზმის კლასიკოსების შესწავლას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საანგარიშო-საარჩევნო კრება არაორგანიზებულად ჩატარდა

— კოსტუმის ჯიბეში მაქვს.

— სახლში დამრჩა.

— დაკარგვისა მეშინია.

— საამქროს შკაფში მაქვს შენახული.

ასეთ პასუხს იძლეოდნენ თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ცალკეული წევრები, რომლებსაც თავიანთი კომკავშირული ბილეთები საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ხელთ არ ჰქონდათ. მათთვის არავის მოუთხოვია კომკავშირული ბილეთების წარმოდგენა. ჩვენ რამდენადაც შეგვეძლო გამოვარკვიეთ, რომ დახურულ კრებაზე 20 კომკავშირელი უბილეთოდ იყო.

კრება ერთი საათისა და 5 წუთის დაგვიანებით გაიხსნა. თავმჯდომარისა და მდივნის არჩევას სრული 20 წუთი მოანდომეს. განსაკუთრებით მდივნის არჩევა გაჭირდა—კომკავშირელმა კუჭაიძემ კრების დავალების შესრულებაზე უარი განაცხადა, იძულებული გახდნენ სხვა აერჩიათ. კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ფილიევი მეტად მკრთალი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იგი ერთი სიტყვითაც კი არ შეხებია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელების საქმეში კომკავშირული ორგანიზაციის მონაწილეობას. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებაზე და მის შესაბამისად კომკავშირული მუშაობის გარდაქმნაზეც არაფერი უთქვამს. ახლა ჩვეულებრივად კომკავშირის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას სწორედ ამ საკითხებით იწყებენ, აქ კი რატომღაც ეს საკითხები სრულებით გამორჩათ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომკავშირულ ორგანიზაციას ერთგვარი წარმატებები აქვს სამხედრო - ფიზკულტურულ მუშაობაში, ხოლო ძალიან ჩამორჩა საორგანიზაციო, საპროპაგანდო, სააგიტაციო და მასობრივ-კულტურულ მუშაობაში. ორგანიზაციაში 101 კომკავშირელი ირიცხება და მათ შორის ერთიც არ მოიძებნება ისეთი, რომელსაც ძირითადად დამთავრებული ჰქონდეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა.

პირდაპირ გაკვირვებას იწვევს მოხსენების შემდეგი ადგილები: „XVIII პარტყრილობამ კომკავშირს მისცა უფლება წარმოებაში საწარმოო საკითხების გადაჭრისა... ჩვენ ვერ ვახერხებდით საწარმოო საკითხებზე დასახული ღონისძიებების შესრულების დროულად შემოწმებას“. როგორც ჩანს, კონტროლის უფლებაზეა ლაპარაკი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს უფლება კომკავშირული ორგანიზაციებისთვის არავის მიუნიჭებია. საანგარიშო მოხსენების ბოლო ნაწილი, რომელიც კომკავშირის თბილისის კომიტეტისა და სტალინის სახელობის რაიკომის ხელმძღვანელობას ეხება, ასე თავდება: „ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობა,—ვკითხულობთ იქ, — საქ. ალკკ თბილისის კომიტეტისა და სტალინის სახელობის რაიკომის ხელმძღვანელობის შედეგია... როგორც თბილისის კომიტეტი, ისე სტალინის სახელობის რაიკომი ღრმად უნდა იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ მათ მითითებებს შევასრულებთ... ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს კომკავშირის კომიტეტი ღრმად იყო დარწმუნებული და დარწმუნებულია იმაში, რომ თბილისის კომიტეტისა და სტალინის სახ. რაიკომის ყველა დავალებას შეასრულებს პირნათლად“.

მოხსენება ასეთი იყო. ახლა კამათის არ იკითხავთ?

სულ შვიდი კაცი გამოვიდა. ამათგან კომკავშირელი მხოლოდ 4. პარტბიუროს მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ჯავახიშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობდა კომკავშირულ ორგანიზაციას. თუნდაც საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებაში არავითარი დახმარება არ გაუწევია მისთვის. კომუნისტი ამხ. გუგუციძე კრებაზე გამოვიდა საპარადო სიტყვით. კომკავშირის კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებზე, პარტხელმძღვანელობის სისუსტეზე მას კრინტიც არ დაუძრავს. კომკავშირის რაიკომის თანამშრომელი ამხ. ალანია, რომელიც კრებაზე ერთი საათისა და 20 წუთის დაგვიანებით გამოცხადდა, მეტად გაგულისდა იმის გამო, რომ კომკავშირელებმა ამხ. ვაშაძემ, სახელაშვილმა და მესტვირიშვილმა გააკრიტიკეს კომკავშირის რაიკომის სუსტი ხელმძღვანელობა. — რაიკომზე ლაპარაკს გირჩევნიათ თქვენს თავზე ილაპარაკოთ,—განაცხადა მან.

კრებაზე უწესრიგობას ჰქონდა ადგილი; მომხსენებელს და სიტყვებით გამოსულ ამხანაგებს კომკავშირელთა მხოლოდ 50 პროცენტი თუ უსმენდა, დანარჩენები კერძო საუბარში იყვნენ გართულნი. მოძრაობა ხომ ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. 13 კომკავშირელი კრებიდან გაიპარა, კომკავშირელმა ჩიგოევმა ჩხუბი და აყალ-მაყალი ასტეხა იმის გამო, რომ იგი არ გაათავისუფლეს. მან თვითნებურად დასტოვა კრება.

კომკავშირის კომიტეტის არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა არჩევნების ინსტრუქციის დარღვევის ფაქტებს. კანდიდატურების დასახელებისა და ასარჩევთა სიაში მათი დატოვების განხილვის დროს კრებას ფაქტიურად კომიტეტის მდივანი ფილიევი თავმჯდომარეობდა და არა კრების თავმჯდომარე ამხ. კილაძე. არჩევნების ინსტრუქციაც ფილიევმა წაიკითხა. კრებას ესწრებოდა ათამდე რუსი ამხანაგი, რომლებმაც ქართული ენა არ იციან. მათ არაფერი გაუგიათ ამ კრებისა, დღის წესრიგიც კი არ გაუცნიათ მათთვის. კომიტეტში ასარჩევთა სია მხოლოდ ქართულ ენაზე იყო დაწერილი. კომკავშირელი ამხ. ივაშჩენკო უკმაყოფილო გამოვიდა კენჭისსაყრელ ოთახიდან იმის გამო, რომ მან ვერ წაიკითხა ქართულად დაბეჭდილი სია და იძულებული გახდა, როგორც ჩააბარეს ისევე ჩაეგდო იგი საარჩევნო ყუთში. ასევე მოიქცა კომკავშირელი კალენიკოვიც. კომკავშირელები ამხ. შპადი და სკიდონი არც კი შედიოდნენ კენჭისსაყრელად იმის გამო რომ დამთვლელ კომისიას ასარჩევთა რუსულ ენაზე დაბეჭდილი სია არ ჰქონდა. კომისიის მუშაობის პროცესში კომისიის სამუშაო ოთახში შევიდა ამხ. ფილიევი, ცხადია, ამის უფლება მას არ ჰქონდა.

ეს კრება გაიხსნა ა.-წ. 7 სექტემბერს საღამოს 5 საათსა და 5 წუთზე, ხოლო არჩევნების შედეგები დამთვლელ კომისიას უნდა გამოეცხადებინა 9 სექტემბერს, მაგრამ მხოლოდ 8 კომკავშირელი გამოცხადდა, ამიტომ იძულებული იყვნენ მეორე დღისთვის გადაეტანათ ეს საქმე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება კომკავშირის თბილისის კომიტეტის ან სტალინის სახელობის რაიკომის მსჯელობის საგანი გახდება.

აქ. შონია

გ. მიხანაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი

განვამტკიცოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობებში

ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა** პარტიის XVIII ყრილობაზე უახლოესი 3-4 წლის საბრძოლო ამოცანად დაგვისახა: „გავადიდოთ ცხვრისა და ღორის სულადობა ერთიორად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა — 40 პროცენტით, ცხენების სულადობა — 35 პროცენტით“.

ამ დავალების შემდეგ გავიდა 3 თვე და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1939 წლის 8 ივლისს გამოიტანეს ისტორიული დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებამ, რომელიც კონკრეტულად უპასუხებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში ამხანაგ სტალინის მიერ დასმულ ამოცანას, უდიდესი გარდატეხა მოახდინა განსაზოგადოებული მეცხოველეობის განვითარებაში.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობას დუშეთის რაიონში მოწმობს შემდეგი ციფრები: 1939 წლის 1 იანვრისათვის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში იყო ძროხა 1.077 სული, ცხვარი და თხა —59.174 სული, დედალორი—87 სული, ცხენი—315 სული. 1940 წლის 1 ივლისისათვის კი იყო ძროხა 1.877 სული, ზრდა 1939 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით უდრის 60 პროცენტს. ცხვარი და თხა 91.417 სული, ზრდა 54 პროცენტი, დედალორი 156 სული, ზრდა 88 პროცენტი, ცხენი 556 სული, ზრდა 73 პროცენტი. ეს წარმატებები იმის შედეგია, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ბოლშევიკურად მოჰკიდეს ხელი ამხანაგ სტალინის მითითების, პარტიისა და მთავრობის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების განხორციელებას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სოფ. მლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. თოხაძე) 1939 წლის 1 იანვრისათვის ჰყავდა 4.526 სული ცხვარი, ძროხა არცერთი სული, 1940 წლის 1 აგვისტოსათვის კი—8.528 სული ცხვარი (ე. ი. წელიწადნახევარში ცხვრის სულადობა გაიზარდა 87 პროცენტით) და 36 სული ძროხა. ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ სოფელ გვიდაქის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ს. ბუჩუკური), სოფ. ლუთხუბის (თავმჯდომარე ამხ. პ. აფციაური), სოფ. ხევმა-ჭიკაანის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ქავთარაძე) და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დუშეთის რაიონის კოლმეურნეობების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ვერ შეიგნო საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ამოცანები და სერიოზულად არ მოჰკიდა ხელი მეცხოველეობის საქმეს, რის შედეგადაც ძროხის გამოზრდის 1940 წლის გეგმა რაიონში ჩაშლის საფრთხის წინაშეა. მაგალითად, 1941 წლის 1 იანვრისათვის რაიონის საკოლმეურნეო ფერმებში უნდა იყოს 2.935 სული ძროხა, ამჟამად კი არის 1.877 სული, დანაკლისი უდრის 958 სულს ანუ წლიური გეგმა 1 აგვისტოსათვის მხოლოდ 66 პროცენტით შესრულდა. ეს იმის შედეგია, რომ ძროხების გამოზრდის სახელმწიფო გეგმა მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა არ შეასრულეს და ზოგან კი ძროხების მაგივრად დეკეულებისა და საფურე ხბოების ყიდვით დაკმაყოფილდნენ. სოფ. ციგრიანთკარის დიმიტროვის სახელობის, სოფ. ზემოკოდისწყაროს სტალინის სახელობის, მილისწყაროს ვოროშილოვის სახელობის, ზემოშუახევის სტალინის სახელობის, მლაშის ბაქრაძის სახელობის, ძველი საკრამულის კოლმეურნეობა „შრომის დროშაში“ და სოფ. ქვემო-აშის, დუდაურების, მჭედლიანის, ქუბრიანის, წითელი სოფლის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში უმთავრესად საფურე ხბოები და დეკეულები ჰყავთ. მაგალითად, სოფ. ციგრიანთკარის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე დათა ქაშიაშვილი) წელს გეგმით უნდა ჰყავდეს 15 ძროხა, ფაქტიურად ჰყავს 1 ძროხა, 14 საფური და დეკეული. სოფელ ჩირიკის კოლმეურნეობას 44 ძროხის ნაცვლად ჰყავს მხოლოდ 28 ძროხა და 470 ცხვრის ნაცვლად—75 ცხვარი.

სოფელ ბოდავის (თავმჯდომარე მ. მანგიაშვილი) და ფუძნარის (თავმჯდომარე ი. ქისტაური) კოლმეურნეობებს ჯერ არცერთი სახის ფერმა არ მოუწყვიათ, რაც უნდა მიეწეროს ზემოხსენებული კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა უპასუხისმგებლობას. მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები დანაშაულებრივ დაუდევრობას იჩენენ მეცხოველეობის განვითარების საქმეში, კარგად არ უვლიან ფერმის პირუტყვს, ყურადღებას არ აქცევენ პირუტყვის ნორმალურ კვებას, ბინებით უზრუნველყოფას, სუსტია ზოოვეტმომსახურება, არ ზრუნავენ საკვები ბაზის შექმნაზე, რის შედეგად დიდ დანაკლისს აქვს ადგილი. სოფელ ჩობოლაურთ-კარის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვასო ჩოხელი და ფერმის გამგე ჩ. ჩოხელი) ცუდი მუშაობის შედეგად დაეხოცა 360 ცხვარი და 90 ბატკანი, უკვალოდ დაკარგულია 60 ცხვარი, 11 ცხვარი კი მგელს შეაჭამეს, მოუკვდათ 7 ხბო, დაჰკარგეს აგრეთვე სამი ცხენი. ამ კოლმეურნეობის საკითხი 30 ივლისს განიხილა პარტრაიკომის ბიურომ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასო ჩოხელი და სხვა დამნაშავე პირები მიცემული არიან სამართალში.

ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად გასულ წელს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა საგრძნობი ზარალი განიცადეს. მაგალითად, შუაფხოს კოლმეურნეობას საზამთრო საძოვრებზე ყიზლარში მოუკვდა 260 სული ცხვარი, სოფ. ნადიბაანთ კოლმეურნეობას—179 ცხვარი, სოფ. ჩოხის კოლმეურნეობა „შრომის დროშაში“ (თავმჯდომარე ივანე ჩოხელი) გასულ ზამთარში ცუდი მოვლის შედეგად 460-მდე სული ცხვარი დაიხოცა.

ცუდი მაჩვენებლები აქვთ საკოლმეურნეო ფერმებს მსხვილფეხა პირუტყვის ნამატის მიღების საქმეში. ნამატის მიღების წლიური გეგმა 1940 წლის 1 ივლისისათვის რაიონში 44 პროცენტით იყო შესრულებული, რაც მეტად დამაფიქრებელია. მთელ რიგ კოლმეურნეობებს ცუდი მოვლის გამო 1940 წელს ბევრი ხბო დაეხოცა. მაგალითად, მაქართის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ნ. წიკლაური) 27 ხბოდან 14 მოუკვდა. ჩადისციხის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე მ. აბულაძე) —8, შუაფხოს კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. ბადრიშვილი) კი — 6 და ა. შ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებს ცუდი მაჩვენებლები აქვთ ცხვრის ნამატის შენარჩუნებაშიც. მაგალითად სოფ. ჯულისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ბურდული) 518 დედაცხვრიდან ასხლეტისათვის მიიღო 384 ბატკანი, ნამატი შეინარჩუნა 70 პროცენტით, სოფ. მაქართის კოლმეურნეობა „ნდობამ“ (თავმჯდომარე ნ. წიკლაური) 2.280 დედაცხვრიდან მიიღო 1.839 ბატკანი, ნამატი შეინარჩუნა მხოლოდ 80 პროცენტით. ახალშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 85 დედა-ცხვრიდან მიიღო 59 ბატკანი, ნამატი შეინარჩუნა 61 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში თივის დამზადების 1940 წლის გეგმა გადამეტებით არის შესრულებული, მთელი რიგი კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან თივის საზამთრო მარაგით, მაგალითად, მლეთის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში (საბჭოში 20 კოლმეურნეობაა) თივის აღების გეგმა 5 სექტემბრისათვის შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 70,1 პროცენტით, მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს (საბჭოში 9 კოლმეურნეობა ითვლება) თივის აღების გეგმა შესრულებული აქვთ 77 პროცენტით, ჟინვალის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს (21 კოლმეურნეობა) კი—96 პროცენტით.

ზოგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი აღებულ თივას წესიერად არ უვლის, არ იცავს გაფუჭებისაგან და ელემენტარული სახანძრო ღონისძიებებიც არა აქვს გატარებული. მაგალითად, სოფელ ვეძათხევის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფირანა ბედუკაძემ თივის ზვინებთან დარაჯი არ დააყენა, შრომადღეები გადაიხარჯებაო, ბავშვებს მიეცათ თივეებში თამაშის საშუალება, რის შედეგად 30 აგვისტოს თივას ცეცხლი გაუჩნდა და 1.000 ფუთამდე დაიწვა. 2 სექტემბერს რაიკომის ბიურომ განიხილა ბედუკაძის საქმე, რომელიც გადასცა პროკურატურას.

რაიონში სუსტად მიმდინარეობს სასილოსე კოშკების მშენებლობა და დასილოსების გეგმის შესრულება. ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობის ხელმძღვანელს არ შეუგნია სილოსის მნიშვნელობა მეცხოველეობის განვითარებისათვის. რაიონის კოლმეურნეობებმა 1940 წელს უნდა დაასილოსონ 1.800 ტონა საკვები, აქედან 5 სექტემბრისათვის სასილოსე კოშკები მზად იყო მხოლოდ 1.450 ტონისათვის, დასილოსებული იყო 927 ტონა, გეგმა შესრულებულია მხოლოდ 51,5 პროცენტით. წითელი-სოფლის კოლმეურნეობა „წამოწყების“, ჟინისის წითელი არმიის, მწითურების ზაქრაძის სახელობის, ბიჩნიგაურთკარის ვოროშილოვის სახელობისა და სოფელ მიგრიაულთკარის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სილოსის დამზადებას; ამ კოლმეურნეობებს ჯერ სასილოსე კოშკებიც არა აქვთ მომზადებული, სასილოსე მასალა გადაბერებას იწყებს და შემდგომში სილოსად აღარ გამოდგება.

პირუტყვის კარგად გამოზამთრების ერთერთ მთავარ პირობას წარმოადგენს თბილი, სინათლიანი და სუფთა ბინები. ამ მიმართულებით რაიონის კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობას საქმე ცუდად აქვს დაყენებული. ბინები კულტურულად არ არის მოწყობილი. რაიონის მეცხოველეობის საბინაო მშენებლობის გეგმა როგორც ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, ისე ადგილობრივად თითქმის ჩაშლილია. სოფ. უძილაურების, მუქოს, ახადის, დგნალის, ლამოვანის, ჭაშის, ვარცლადოლოში და სხვა კოლმეურნეობებს ბინები სულ არ გააჩნიათ.

ეს სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მთელი რიგი სასოფლო საბჭოები, პირველადი პარტორგანიზაციები, დუშეთის რაიმიწგანი და მტს-ის დირექცია სუსტად ხელმძღვანელობენ მეცხოველეობის განვითარებას.

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომმა აგვისტოს პირველ რიცხვებში მთლიანად შეამოწმა რაიონის კოლმეურნეობებში 1940 წელს მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების შესრულება, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წ. 8 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

ეს საკითხი ამ დღეებში განიხილა საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პლენუმმა, რომელმაც აღნიშნა ზემოთმოყვანილი და მთელი რიგი სხვა სერიოზული ნაკლოვანებანი მეცხოველეობის განვითარების საქმეში და რაიონის პარტორგანიზაციებს, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს და კოლმეურნეობების გამგეობებს დაუსახა პრაქტიკული ღონისძიებანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად და მეცხოველეობის 1940 წლის სახელმწიფო გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის.

დუშეთის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ამოცანა ამჟამად ის არის, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ მეცხოველეობის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა, მიწგანის და მტს-ის მუშაკებმა მტკიცედ უნდა შეიგნონ, რომ ისინი უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებისათვის, მათ ყოველმხრივ უნდა გააუმჯობესონ პირუტყვის მოვლა-პატრონობა, იბრძოლონ ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის, პირუტყვის როგორც უხეში, ისე წვნიანი (სილოსი) და კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფისათვის, გააუმჯობესონ პირუტყვის ზოოვეტმომსახურება, მოაწყონ პირუტყვისათვის მშრალი, სინათლიანი და თბილი ბინები, მიაღწიონ პირუტყვის ჯიშის გადაჭრით გაუმჯობესებას და მაღალპროდუქტიულობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების შესრულებას ყველა კოლმეურნეობაში და სრულად დაკომპლექტებულ იქნას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმები სრულსაკოვანი, პროდუქტიული პირუტყვით და მეცხვარეობის ფერმები—დედა-ცხვრებით. იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც მოცემულია 8 ივლისის დადგენილების საფუძველზე.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ მეცხოველეობის განვითარების 1940 წლის სახელმწიფო გეგმები ყველა კოლმეურნეობაში.

◆

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა ლონდონზე

ლონდონი, 9 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 8 სექტემბერს, ღამით, ლონდონზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის სულ ცოტა 150 თვითმფრინავი.

ლონდონის ერთერთ რაიონში არ დარჩენილა თითქმის არცერთი სახლი, რომელსაც ფანჯრის მინები არ ჩამტვრეოდეს. პირველი სამედიცინო დახმარების პუნქტები რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ჰგზავნიდნენ დაჭრილებს ჰოსპიტლებში. დღეს დილით ლონდონის დასავლეთ გარეუბანში შენელებული მოქმედების ყუმბარის აფეთქებით სრულიად მოსპობილ იქნა ერთი შენობა. ერთერთ მჭიდროდ დასახლებული რაიონის ბევრ ქუჩაში პოლიციამ მცხოვრებლები აღარ გაუშვა, რადგან ყუმბარებით დაზიანებულ შენობებს ჩამონგრევა მოელის, ხოლო გაზის გატეხილი მაგისტრალებიდან სანათი გაზი გამოდის. ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილის გაზით მომარაგება შეწყვეტილია. ჩრდილოეთ ლონდონში ყუმბარებმა სახურავი მოჰგლიჯეს რამდენიმე შენობას, რის შედეგადაც მოსახლეობაში მრავალი მსხვერპლია. ერთერთ სამხრეთ დასავლეთ რაიონში ბომბარდირებამ ერთ ქუჩაზე 25 ადგილას გააჩინა ხანძარი. მობინადრენი და სახანძრო ბრიგადები ხანძრის ლოკალიზაციას ახერხებენ.

ცენტრალური ლონდონის მოსახლეობაში მსხვერპლის შედარებითი სიმცირე იმით აიხსნება, რომ ამ რაიონის შენობების დიდი ნაწილი ღამღამობით დაცლილია. ყველაზე მეტი ნგრევა მოხდა მიწისქვეშა ყუმბარსაფარში, რომელიც მეზობლად მდებარე შენობის ნანგრევებით ამოივსო. ნანგრევებში ცოცხლად დაიმარხა რამდენიმე კაცი. თუმცა ბომბარდირება გრძელდება, მაგრამ მაშველმა პარტიებმა ნანგრევებისაგან გასწმინდეს ყუმბარსაფარი, რათა იქ მყოფი ხალხი გადაერჩინათ. მნიშვნელოვნად დაინგრა საცხოვრებელი შენობები, სადაც, როგორც ჩანს, ნანგრევებქვეშ მოჰყვა ზოგიერთი მცხოვრები. როგორც ფიქრობენ, აღმოსავლეთ ლონდონში ერთერთ საცხოვრებელ შენობაზე საჰაერო ნაღმის მოხვედრების შედეგად მოკლულია 50-ზე მეტი კაცი. ეს-ეს არის გამოირკვა, რომ ლონდონში დაზიანებულია სამი ჰოსპიტალი და აგრეთვე ჰოსპიტალი სამხრეთ უელსში, სადაც მრავალი მსხვერპლია.

დღეს ლონდონის ბევრ რაიონში შეხვდებით უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, რომლებმაც დანგრეული ბინებიდან მხოლოდ მცირე რამ გადაარჩინეს საოჯახო ბარგიდან.

ლონდონის სხვადასხვა ნაწილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ, სასტიკი ბომბარდირების მიუხედავად, ლონდონში ცხოვრება თითქმის ნორმალურად მიმდინარეობს.

ინგლისის საზოგადოებრიობა უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ინგლისის გამანადგურებელი ავიაცია და საზენიტო არტილერია გერმანიის თვითმფრინავების წინააღმდეგ ბრძოლის დროს უმნიშვნელო აქტივობას იჩენდა როგორც 7 სექტემბერს ღამით, ისე 8 სექტემბერს ღამით. ლონდონის წრეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ორივე ღამის განმავლობაში საზენიტო ბატარიები პროჟექტორებთან ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ საზენიტო ბატარიებს მეტად უჭირთ მტრის თვითმფრინავების აღმოჩენა, თუ მათ პროჟექტორის სინათლის სხივი არ მოხვდება. უხილავ მიზანში სროლა კი საომარი მასალის ამაო ხარჯვას გამოიწვევდა. გერმანიის თვითმფრინავები ისე მაღლა დაფრინავდნენ, რომ პროჟექტორების შემწეობით მათი დანახვა თითქმის შეუძლებელი იყო. 8 სექტემბერს ღამით პროჟექტორების მუშაობა დიდად დააბრკოლა აგრეთვე ორმა დიდმა ხანძარმა, რაც ლონდონის ირგვლივ გაჩნდა. ავარდნილი კვამლი ხილვადობას აძნელებდა.

დაწვრილებითი ცნობები ლონდონზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის შესახებ

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ლონდონელი კორესპონდენტი, რომელმაც დღეს დილით ლონდონის სხვადასხვა რაიონები შემოიარა, სწერს, რომ 8 სექტემბერს ღამით ქალაქზე საჰაერო თავდასხმა „ყველაზე დიდი თავდასხმა იყო ომის მთელი ხნის განმავლობაში". ბომბარდირებამ მნიშვნელოვნად დააზიანა მეტროპოლიტენის ყველა ხაზი. მთელ ღამეს ისმოდა თვითმფრინავთა მოტორების მონოტონური გუგუნი. თავდასხმამ ცხრანახევარ საათს გასტანა.

რამდენიმედ დაზიანდა სამხედრო ობიექტები. დიდი მსხვერპლია მუშათა რაიონებში. პროჟექტორები და საზენიტო არტილერია თვითმფრინავებს იძულებულს ხდიდნენ დიდ სიმაღლეზე ეფრინათ. დღეს დილით ბანკები და ბირჟა გაიხსნა, მაგრამ, ტრანსპორტის შეწყვეტის გამო, ქალაქის საქმიანი ცხოვრება გაძნელებულია. მეტროს მხოლოდ ერთი ხაზი არ მუშაობს. კორესპონდენტი იუწყება, რომ ბომბარდირებამ დააზიანა გაზის მაგისტრალი იმ რაიონში, სადაც იგი ცხოვრობს.

ქალაქში მოფრენილ ყოველ თვითმფრინავს თან ჰქონდა 800 ან 1.000 კილოგრამიანი ორი ყუმბარა ან 10 ორმოცდაათკილოგრამიანი ყუმბარა და ორი თუ ოთხი 100-კილოგრამიანი ყუმბარა. გერმანიის თვითმფრინავთა წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლისის ავიაგამანადგურებლებისა და საზენიტო ქვემეხების დამარცხებას ხელისუფალნი იმით ხსნიან, რომ გერმანიის თვითმფრინავები მეტად დიდი სიჩქარითა და ძალიან მაღლა დაფრინავდნენ.

გერმანიის ავიაციის დღევანდელი ღამის თავდასხმის დროს სერიოზულად დაზიანდა ინგლისის ორი მუზეუმი. ყუმბარებმა ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილის ერთერთ მიწისქვეშა საფარის სახურავი ჩაანგრიეს. მსხვერპლი დიდია, ლონდონის ერთერთ რაიონში ყუმბარები განუწყვეტლივ ეცემოდა თანაბარი ხანგამოშვებით. ლონდონის ცენტრიდან ყველა მიმართულებით მოსჩანს ხანძარი. აფეთქების კოლოსალური ძალა მოწმობს, რომ გერმანელები უდიდეს ყუმბარებს იყენებენ. ლონდონში კომუნალური მეურნეობის ყველა დარგმა დროებით შესწყვიტა მოქმედება.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 9 სექტემბერი (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას: „ჩვენი ავიაცია კვლავ დაესხა თავს ხაიფას და ალექსანდრიას. ხაიფაში ყუმბარები დავუშინეთ ნავთის გადამამუშავებელ ქარხანას. მრავალ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა. ალექსანდრიაში ყუმბარები დავუშინეთ გემებს და ამ სამხედრო ბაზის ნაგებობებს. ამას გარდა, ყუმბარები დავუშინეთ ალექსანდრია-მერსა-მატრუხის რკინიგზას. აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა ყუმბარმშენებმა სუდანში ყუმბარები დააყარეს ბომას პუნქტსა და სადგურს და პორტ-სუდანის ნავთსაცავს. მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მოგადიშოს, მასაუას და ბერბერას. მსხვერპლი არ არის. ზარალი უმნიშვნელოა. მტრის ერთი თვითმფრინავი, რომელიც ცდილობდა ყუმბარა დაეშინა მოჯლოს (აბისინია) აეროდრომისათვის, ჩამოგდებულ იქნა ჩვენი გამანადგურებელი ავიაციის მიერ და ცეცხლი წაეკიდა".

ინგლისის ცნობები გერმანიის ავიაციის ზარალის შესახებ

ლონდონი, 9 სექტემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საავიაციო ექსპერტები ამტკიცებენ, რომ „იმ დროიდან, რაც გერმანიამ გაძლიერებული საჰაერო ბრძოლა დაიწყო ინგლისის წინააღმდეგ, მან 4 ათასზე მეტი მფრინავი დაჰკარგა. ოფიციალური ცნობების თანახმად, 17 ივლისიდან 6 სექტემბრამდე მოსპობილია მტრის სხვადასხვა ტიპის 1.688 თვითმფრინავი. ერთი კვირის განმავლობაში, რაც 6 სექტემბერს დამთავრდა, გერმანიამ დაჰკარგა სულ ცოტა 800 მფრინავი, ინგლისის ავიაციამ—57 მფრინავი. ბრძოლაში დაღუპულ ინგლისის 143 ავიაგამანადგურებლის ეკიპაჟიდან 86 მფრინავი გადარჩენილია.

ჰამბურგის ბომბარდირება

ლონდონი, 9 სექტემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 8 სექტემბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენთა დიდმა შენაერთმა დიდძალი ყუმბარა დაუშინა ჰამბურგს. ბომბარდირებამ 3 საათზე მეტ ხანს გასტანა. ქალაქში ჩამოგდებულ იქნა ასობით ფუგასური და ცეცხლწამკიდი ყუმბარა.

იტალიის თვითმფრინავები ლონდონის ბომბარდირებაში მონაწილეობენ

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იტალიის თვითმფრინავები მონაწილეობას იღებენ ლონდონზე საჰაერო თავდასხმებში.

რუმინეთის კომუნიკე ტრანსილვანიის ევაკუაციის შესახებ

ბუქარესტი, 9 სექტემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ევაკუაცია ტრანსილვანიის მე-4 ზონისა, რომელიც უნგრეთის ხელში გადადის, დასახული გეგმის სრული შესაბამისობით მოხდა.

უნგრეთის ჯარი ტრანსილვანიაში შევიდა

ბუდაპეშტი, 9 სექტემბერი (საქდესი). უნგრეთის ჯარი განაგრძობს ტრანსილვანიის დაკავებას. როგორც უნგრეთის არმიის გენერალური შტაბი გადმოსცემს, 7 სექტემბერს ნაშუადღევს ჯარმა ტრანსილვანიის მე-3 ზონას მიაღწია, რომელიც უნგრეთის ხელში გადადის. ჯარის კოლონებს უკან მიჰყვება მძიმე არტილერია და პარაშუტისტები. შემდეგ მიდიან პოლიციის ნაწილები, საფოსტო სამმართველოს ავტომობილები, ფოსტის მუშაკთა პერსონალითა და კავშირის აღსადგენად საჭირო მასალებითურთ.

რუმინეთის მთავრობის განკარგულება

ბერლინი, 9 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ რუმინეთის მთავრობამ საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაანთავისუფლა ყველა ისინი, ვისაც ბრალად ედებოდათ პანიკური ხმების გავრცელება და დაპატიმრებული იქნენ კაროლის მეფობის უკანასკნელი კვირების განმავლობაში.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში. ხუბეის პროვინციაში მოქმედმა ჩინეთის ჯარმა დეზორგანიზაცია შეიტანა მთელი რიგი რკინიგზების მოძრაობაში. ტიანძინსა და მუკდენს შორის სამგზავრო მატარებლები არ დადის.

დაგვიანებული ცნობების მიხედვით, 31 აგვისტოს ჩინელებმა დაიკავეს იანფინგოუ (რკინიგზის სადგური დატუნ-პუჯოუს რკინიგზაზე, შანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში). ამ სადგურის ხელში ჩასაგდებად გამართული ბრძოლის დროს ჩინელებმა ტყვედ წაიყვანეს 4 იაპონელი ოფიცერი და 20-ზე მეტი ჯარისკაცი.

შანდუნისა და ძიანსუს პროვინციების საზღვარზე მოქმედმა ჩინელმა პარტიზანებმა ამ რაიონში იერიში მიიტანეს იაპონიის ფოლადსამსხმელო ქარხანაზე.

სამხრეთ ჩინეთში. გუანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ცალკეული შეტაკებანი ხდება ნანინის სამხრეთით. ლუნჯოუს რაიონში იაპონელებმა მომიჯნავე სოფლები დასწვეს, რომ ჩინელებს ეს სოფლები საფარად არ გამოეყენებინათ შეტევის დროს.

ცენტრალურ ჩინეთში. ჯეძიანის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 8 სექტემბერს იაპონიის ხომალდებმა ყუმბარები დაუშინეს სიანშანის რაიონის სანაპიროს. ქალაქში მრავალი ყუმბარა გასკდა, მაგრამ მათ მიერ გამოწვეული ზიანი უმნიშვნელოა.

9 სექტემბერი (საქდესი).

თეატრალური სეზონის წინ

მაღალი დონის იდეურ-მხატვრული სპექტაკლისათვის

დღეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი დაიწყებს თავის მე-13 სეზონს.

შარშანდელი სეზონი ჩვენმა თეატრმა წარმატებით დაასრულა. მაგრამ სეზონის განმავლობაში თეატრალურ ცხოვრებაში შეიქმნა ახალი ვითარება, რომელიც მოითხოვს ჩვენგან მუშაობის საფუძვლიან გარდაქმნას. ამოცანა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოვიპოვოთ მაყურებელი, არამედ ძირითადია მივაწოდოთ მას მაღალი დონის იდეურ-მხატვრული სპექტაკლები.

მარჯანიშვილის თეატრმა 12 სეზონის მანძილზე გამოიმუშავა თავისი მხატვრული-შემოქმედებითი სახე. მხატვრული სიმართლე, ღრმა ემოციურობა, ძლიერი სიტყვა, ნაწარმოების იდეის გახსნა, მის შინაარსში ღრმად ჩაწვდომა, მისი სულისა და გულის გადაშლა მაყურებლის წინაშე —აი რა ახასიათებს ჩვენს თეატრს. სპექტაკლის ცენტრალურ ფიგურად ჩვენ ვსახავთ აქტიორს. მისი შემოქმედებითი შესაძლებლობის სრულ გამოვლინებას ვუმორჩილებთ სპექტაკლის ყველა ელემენტს. მსახიობის მიერ სცენიდან გადმოცემული ღრმა განცდა, მაღალი იდეები უნდა იტაცებდეს მაყურებელს, თეატრში განცდილი თან უნდა მიჰყვებოდეს მას, დააფიქრებდეს პიესის გმირთა ბედზე. ამ ძირითად მიზანდასახულებას ჩვენს თეატრში ემსახურება ყველა — რეჟისორი, აქტიორი, მხატვარი, კომპოზიტორი. რეჟისორის რთული შემოქმედება ჩვენ წარმოგვიდგენია არა როგორც თავისი ნამუშევრის წინა პლანზე წამოწევა, არამედ სპექტაკლის ძირითადი იდეის სრულქმნილი განხორციელება.

ამ პლანში თეატრი ხშირად მიმართავდა და მიმართავს კლასიკურ მემკვიდრეობას. კლასიკური პიესის დადგმისას თეატრი ხაზს უსვამს მის მაღალ მხატვრულობას და მოწინავე იდეებს, რომლებიც ემთხვევიან ჩვენს თანამედროვეობას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა თეატრის გამართლება უპირველეს ყოვლისა იმ დიადი ამოცანის გადაჭრაშია, რომელიც პარტიამ დაგვისახა. ეს ამოცანაა მასების კომუნისტურად აღზრდა. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე დრამატურგია, ჩვენი გმირული სინამდვილის ამსახველი რეპერტუარი. ამიტომ თეატრი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს საბჭოთა დრამატურგებს სტალინური ეპოქის ამსახველი პიესების შექმნაში.

სეზონს თეატრი ხსნის ყ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძით". ამ სპექტაკლს, რომელიც შარშანდელ სეზონში 30-ჯერ დაიდგა, კარგად იცნობს მაყურებელი. „გიორგი სააკაძე" ჩვენი თეატრის რეპერტუარიდან ყველაზე საყვარელი სპექტაკლია. ეს გასაგებიცაა. ამ პიესაში მოცემულია ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადების, გმირობის წარმტაცი სურათები.

სეზონის პირველ პრემიერად თეატრი უჩვენებს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს", რომელიც ასახავს საინტერესო პერიოდს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. ეს პერიოდია ჩვენს ქვეყანაში სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა და ახალი ეკონომიური ურთიერთობის დამყარება. თეატრმა დიდი მუშაობა ჩაატარა XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრების შესასწავლად. სპექტაკლი გახსნილია მარქსის ცნობილი დებულების მიხედვით — ოქრო, როგორც წამრყვნელი ძალა. პიესას დგამს ვ. ტაბლიაშვილი, მხატვრობა ეკუთვნის ლ. ჭუბაბრიას და კ. ჭავჭანიძეს, მუსიკა — ა. კერესელიძეს.

სეზონის განმავლობაში თეატრი მაყურებელს უჩვენებს ვ. გაბესკირიას პიესას „შრიალებენ ვერხვები", ს მთვარაძის ახალ კომედიას „ხარბი", ი. ვაკელის ახალ კომედიას, ა. დიუმას „მარგარიტა გოტიეს" (დამდგმელი ბ. გამრეკელი) და სოკოლოვსკის „მოლა ნასრედინს" (დამდგმელი ვ. ყუშიტაშვილი). საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის მზადდება ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტები" (დამდგმელი ვ. ტაბლიაშვილი). კლასიკური რეპერტუარიდან თეატრი წელს შეარჩევს შექსპირის, იბსენის, ოსტროვსკის და გოგოლის ნაწარმოებებს. სეზონში დაიდგმება ახალგაზრდების სპექტაკლი.

საბჭოთა საზოგადოებრივობასთან კიდევ უფრო მტკიცე დაკავშირების მიზნით თეატრი „კომუნისტის" რედაქციასთან ერთად ახლო ხანში „კომუნისტის" კლუბში მოაწყობს „სოლომონ მეჯღანუაშვილის" დადგმის გეგმის საჯარო განხილვას.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი ახალი ენერგიით იწყებს სეზონს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მტკიცე კავშირი და ურთიერთობა, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრს მუდამ ჰქონდა მაყურებელთან, წელს კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

შალვა ღამბაშიძე

თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

„გიორგი სააკაძე"

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში

გუშინ რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა დაიწყო ახალი სეზონი. პირველ პრემიერად თეატრმა გვიჩვენა ს. შანშიაშვილის პიესა „გიორგი სააკაძე". პიესა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. პატარიძემ, მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირ. გამრეკელს, მუსიკა — კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძეს. მთავარ როლებს ასრულებენ: აკაკი ხორავა (გიორგი სააკაძე), აკაკი ვასაძე (შადიმანი), გ. სალარაძე (ლუარსაბი), ნ. ჩხეიძე (გიორგის დედა), ნ. ლაფაჩი (თეკლე), თ. ბაქრაძე (დედოფალი კახეთისა), ფ. ჭანტურია (პაატა), ა. აფხაიძე (ზურაბ ერისთავი), ს. ჯაფარიძე (კახაბერი), ე. აფხაიძე (დათო), დ. ხუციშვილი (პაპუნა), გ. დავითაშვილი (შაჰ-აბასი), მ. ჩიხლაძე (ყარჩი ხანი) და სხვები.

დარბაზი სავსე იყო ხალხით. სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო. სპექტაკლის დასასრულს მსახიობებს, რეჟისორს, ავტორს, მხატვარსა და კომპოზიტორს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში

„ცდკას" მატჩები გადატანილია გათამაშების ბოლოში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით სსრ კავშირის 1940 წლის საფეხბურთო პირველობაზე თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" საჩვენებელ გუნდებთან მოსკოვის „ცდკას" საჩვენებელი გუნდის კალენდარული მატჩები, რომლებიც სექტემბრის შუა რიცხვებში უნდა ჩატარებულიყო, გადატანილია გათამაშების ბოლოში.

(საქდესი).

○

თბილისის „ლოკომოტივის" გამარჯვება

10 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „მეტალურგისა" და თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდები.

შეჯიბრება დამთავრდა თბილისის „ლოკომოტივის" გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ჩოგბურთი

ლვოვი - თბილისი

შეჯიბრების მეორე დღე.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ლვოველი ჩაიკოვსკი და თბილისელი გულიაშვილი. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ჩაიკოვსკიმ ორ სეტში.

შეჯიბრებაში ყველაზე საინტერესო იყო სსრ კავშირის ჩემპიონის გებდას შეხვედრა საქართველოს ჩემპიონ ვ. სერებრენიკოვთან. პირველი სეტი ადვილად მოიგო გებდამ ანგარიშით 6:0. მეორე სეტში სერებრენიკოვი გაცილებით უფრო უკეთესად თამაშობდა, მაგრამ ტექნიკურად სრულყოფილმა თამაშმა გებდას მოუტანა გამარჯვება მეორე სეტშიც ანგარიშით 6 : 3.

ამავე დროს სწარმოებდა შეხვედრა ქალთა წყვილისა. თამაშობდნენ კ. კოლჩი (ლვოვი) და ზაკსი (თბილისი). შეხვედრა დამთავრდა ზაკსის გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

შეჯიბრება დამთავრდა. შეხვედრათა შედეგია 7:2 ლვოვის სასარგებლოდ.

ამ შეხვედრებიდან თბილისელებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ. საჭიროა, რომ მათ ჯერ კიდევ ბევრი იმუშაონ თამაშის კლასის ასამაღლებლად, ისწავლონ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელებისაგან.

ვ. გ.

მენდელეევის საზოგადოებაში

11 სექტემბერს საღამოს 8 საათზე სახელმწიფო ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიური კორპუსის აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34) შესდგება მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება, რომელზედაც **პროფ. ო. ე. ზვიაგინცევი** (მოსკოვი) წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „შენადნობების მიღება კერამიკული ხერხით".

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **რუსთაველის** სახელობის — „გიორგი სააკაძე" (მე-3 აბ. 1 წარმ.), **მარჯანიშვილის** სახელობის — „გიორგი სააკაძე" (1 აბ. 1 წარმ.), **გრიბოედოვის** სახელობის — „ერნან" (მე-2 აბ. 1 წარმ.), **საქესტრადის საზაფხულო თეატრი** — „ბოშათა ბარონი" (მე-3 აბ. მე-9 წარმ.).

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „საბჭოთა პატრიოტი", **ოქტომბერი** — „ექიმი კალიუჟნი", **დამკვრელი** (ზამთრის და ზაფხულის) — „საბჭოთა პატრიოტი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ახალი დროება", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „პეტრე პირველი" (მე-2 სერია), **ლუქსემბურგის** სახ. — „უკანასკნელი ჯვაროსნები", **სპარტაკი** — „ნამუსი", **კომინტერნი** — „მანერჰაიმის ხაზი", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „გიული", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „ჩემი სიყვარული", **განთიადი**—„პეპო", **ვოროშილოვის სახ. კლუბი** — „ჩემი სიყვარული", **წითელი არმიის სახლი** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ყოველდღიურობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50
საზაფხულო თეატრი
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები
11 სექტემბერს მე-3 აბ. მე-9 წარმ. ბოშათა ბარონი
12 სექტემბერს მე-4 აბ. მე-9 წარმ. ცისფერი სისხლი
ღია ესტრადა
11 სექტემბერს ლენინგრადის ესტრადის მსახიობთა
საღამო-კონცერტი
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 10 საათზე.
12, 13 სექტემბერს სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილე აშუღთა სიმღერების ანსამბლის საღამო ორდენოსან ვ. სააკიანის მონაწილეობით. დასაწყისი 9 ს. 30 წ.
14, 15 სექტემბერს დიდი საღამო-სეირნობა. თვალი ადევნეთ აფიშებს ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1940 წ. 18 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დანიშნულია საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც მედიცინის მეცნიერების კანდიდატი **მიხეილ ალექსის-ძე ბერიძე** დაიცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „Клинико-экспериментальные исследования по применению бактериофага в терапии и профилактике глубоких форм пиодермитов".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მედიცინის მეცნიერების დოქტორი პროფ. **ბუაჩიძე**, მედიცინის მეცნიერების დოქტორი პროფ. **კ. ანთაძე** და მედიცინის მეცნიერების დოქტორი პროფ. **ა. წულუკიძე**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

1158 დირექცია.

თბილისის მაუდ-აბრეშუმის გაერთიანებული ტექნიკუმი აწარმოებს მოწაფეთა მიღებას დამატებითი ჯგუფებში (ქართულ და რუსულ სექტორებზე).

პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ბრძოლის ქ. № 107-ა.

359 დირექცია.

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" აწარმოებს მოწაფეების მიღებას:
ასოთ-ამწყობის, ლინოტიპისტის, მეტრანპაჟის, ასოთ-ჩამომსხმელის, მკინძავის, მბეჭდავის, ცინკოგრაფის და სტერეოტიპისტის სპეციალობის მისაღებად.
მსურველებმა პირობების გასაგებად მიმართონ ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული, კადრების განყოფილების გამგეს ამხ. შ. გზირიშვილს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
11 სექტემბერს მე-3 აბ. 1 წარმ.
გიორგი სააკაძე
12 სექტემბერს მე-2 აბ. 1 წარმ.
გიორგი სააკაძე
დასაწყისი 8 ს. 30 ს.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.
11 სექტემბერს 1 აბ. 1 წარმ.
გიორგი სააკაძე
12 სექტემბერს მე-6 აბ. 1 წარმ.
მადამ სან-ჟენ
13 სექტემბერს მე-7 აბ. 1 წარმ.
ბედნიერება
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1940 წ. სახელმწიფო გამოცდების საშემოდგომო სესია ჩატარდება 1-დან 15 ოქტომბრამდე.

განცხადებები მიიღება 25 სექტემბრამდე.

356 დირექცია.

თანახმად ცხაკაიას რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის 1940 წ. 17 აგვისტოს სხდომის დადგენილებისა, ოქმი № 37. ხდება ცხაკაიას რაიალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის

ჟავის ფაბრიკის ლიკვიდაცია

იმ ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ აღნიშნული ფაბრიკისადმი უნდა მიმართონ განცხადებით სალიკვიდაციო კომისიას, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ერთი თვის განმავლობაში, შემდეგი მისამართით: ქ. ცხაკაია, ცხაკაიას ქუჩა № 21. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზია განხილული არ იქნება.

354 სალიკვიდაციო კომისია.

თანახმად წევრთა საერთო კრების (ოქმი № 4) და **„საშმრეწვმშენკავშირის"** პრეზიდიუმის დადგენილებისა, ხდება არტელ

„საშენი წარმოების" ლიკვიდაცია.

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა 15 დღის განმავლობაში, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია მიღებული არ იქნება.

ლიკვიდკომის მისამართი: ლენინის ქ № 15.

358 ლიკვიდკომი.

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

საგალანტერეიო ფაბრიკა „კომსომოლკას" დასკვნითი ბალანსი 1940 წ. 1-ლი იანვრისათვის

(ათას მანეთობით)

აქტივი

მუხლების დასახელება	ჯამი
1 ძირითადი საშუალებები	753
2. განყენებული საშუალებები	1368
3. ანარიცხები სპეცფონდებში	102
4. მასალები, ნედლეული და სათბობი	756
5. დაუმთავრებელი წარმოება	142
6. მზა ნაწარმი და საქონელი საწყობებში	152
7. მომავალი დროის ხარჯები	4
8. საშუალებები კაპიტალურ რემონტში	18
9. გადატვირთული საქონელი და შესრულ. სამუშაოები	314
10. სარეალიზაციოდ გამოყოფილი საგნები	1
11. ფულადი საშუალებები	428
12. ანგარიშსწორებანი (დებიტორები)	21
13. სპეცფონდებზე გადახარჯი	3
14. შინა ანგარიშსწორებანი ასანაზღაურებელი	21
ბალანსი	4083

პასივი

მუხლების დასახელება	ჯამი
1. საწესდებო ფონდი	1497
2. 1939 წლ. მოგება	2142
3. საშუალებები კაპიტალურ რემონტისათვის	18
4. სპეციალური ფონდები	155
5. რეზერვები	4
6 ანგარიშსწორებანი (კრედიტორები)	267
ბალანსი	4083

მოგება-ზარალის ანგარიში

დანაკარგები	
1. სხვადასხვა დანაკარგები	52
მოგების ნაშთი	2142
სულ	2194

დაგროვება	
1. მოგება რეალიზაციით	2188
2. სხვა დაგროვება	6
ზარალის ნაშთი	—
სულ	2194

დირექტორი ათაბეგოვა.

მთავ. ბუხჰალტერი სერინგულიანი.

დასკვნითი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. მსუბ. მრეწვ. სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1112

საქ. სსრ მსუბ. მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვ. უიფიანი.**

ქმარი რაჟდენი, დედამთილი ოსანა, მულები: ნინა, მარიამი, მინადორა, ევა, მაზლები: სოგრატი, ირაკლი ინდიკო ბრეგვაძეები იუწყებიან

თამარა ცხოვრებაძე-ბრეგვაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/IX 7 ს. I საავადმყოფოში. დასაფლავება 12/IX 6 ს.

ერმილე ფოფხაძე, ლევან, ციცია წულუკიძეები თანაგრძნობას უცხადებენ სერგო ბუაძეს მისი შვილის

პატარა ნათელას

გარდაცვალების გამო. 7808

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის მე-2 კურსის მე-6 ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ

ნათელა ლაშხიას

გარდაცვალებას. 7797

ოლიკო და გოგი ხომასურიძეები იუწყებიან დედის

ნატალია ილიას-ასულ ხომასურიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/IX 7 ს. ორჯონიკიძის 92. გამოსვენება 12/IX 6 ს. 7804

ძმა ნიკო, რძალი მარგო, ძმისწულები გულიკო, ნუნუ გალდავები, დისწული ულიეტა ჩაჩარაძე, დეიდაშვილი თინა მურღულია იუწყებიან

თამარ ერმილეს-ასულ გალდავა-მედოევის

გარდაცვალებას. 50

მშობლები ფოთო, სამსონ, ძმები ხუტუ, იურა ბიქელაძეები იუწყებიან

ალექსანდრე (დოჯიკო) ქანთარიას

გარდაცვალებას. 7798

მეუღლე პაწია, ძმები აკაკი, სტანისლავ ჩხიკვიშვილები ოჯახებით, დები დარეჯან, ზინა, დეიდა მარო, ბიძები სიმონ, სანდრო ოჯახებით იუწყებიან

ვოლოდია სერგოს-ძე ჩხიკვიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. მახარაძეში 12/IX. 7799

მეუღლე ფედოსი, შვილები სამსონ, ნატა, გალინა, ვასასი, სონა, გოგუცა, რძალი ტატულა, სიძეები და შვილიშვილები იუწყებიან

გიორგი დავითის-ძე სალუქვაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/IX ს. ბახვში (მახარაძის რ.). 7800

შვილი ვასო, რძალი კატუშა, შვილიშვილი მერი ხანთაძეები იუწყებიან

მიხეილ ხანთაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. დუაბზუში (მახარაძე). 7801

მოსე ბუთლიაშვილი მეუღლით ლიზიკოთი იუწყება გიორგი მოსაშვილის შვილის, მე-3 კლასის მოსწავლის

თაზოს

გარდაცვალებას. გამოსვენება 11/IX 6 ს. მე-4 ახალშენის, 13, (საბურთალო) კუკიის სასაფლაოზე. 7802

მეუღლე ალექსანდრე, შვილი ლეილა, დედამთილი ქრისტინე, მამამთილი მინა პაპავები იუწყებიან

ჟენია დავითის-ასულ მიქელაძე-პაპავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/IX 4 ს. ქ. სამტრედიაში ლენინის. 46. 7803

სკოლის მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო ულენტს მისი დედის

ეკატერინე ნიკოლოზის-ასულ ულენტის

გარდაცვალების გამო. 7782

გრიშა ტორონჯაძე, ლადიკო ლევი, ახდრო თოდრია, ვერა ფირცხალაიშვილი, ანიჩკა ცინცაძე, ა. იმნაიშვილი, მ. კვეიძე, გ. გუჯაბიძე, ა. მოისრაფიშვილი იუწყებიან სერგო ბუაძის შვილის

ნათელას

გარდაცვალებას. 7791

დეიდა ელისაბედ, ბიძა გიორგი, დეიდაშვილები ალექსანდრე ცოლშვილით, მალიკო, გრიშა, ქეთო ქძარშვილით, მარო, ელენე, თინა მურღულიები იუწყებიან

თამარ ერმილეს-ასულ გალდავა-მედოევის

გარდაცვალებას. 7805

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67; პ.-მბ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84 წერილების—3—73—24, პ.-მბ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 99